# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 12 თებერვალი. 2019 წ. №30 (8696) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


# ლიეჟური ნაცარქექიობა



10 თებერვალს ბელგიის ქალაქ ლიეჟში, კონგრესის სასახლეში, სადაც საქართველოს ყოფილი მსჯავრდებული პრეზიდენტის, პოლიტიკური ცხოველის მ. სააკაშვილის მხარდამჭერი ემიგრანტები შეიკრიბნენ, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

რამდენიმე პირი, რომელსაც ხელში სააკაშვილის საწინააღმდეგო ტრანსპარანტები ეჭირა დარბაზში შესვლის უფლებას ითხოვდა, თუმცა დაცვამ ისინი არ გაატარა. შეხვედრის ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ ისინი პროვოკატორები არიან და ამიტომ არ აძლევდნენ მათ დარბაზში შესვლის უფლებას.

სიტყვიერი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა წიწაკის სპრეი გამოიყენეს, რის შემდეგაც კონგრესის სასახლის ფოიე მოწინააღმდეგეებმა დატოვეს. საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

დაპირისპირება რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც ამ პირებმა შენობა დატოვეს ღონისძიების ორგანიზატორებმა კი შენობის კარი ჩაკეტეს. მცირე ინციდენტს ჰქონდა ადგილი მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას.

დარბაზში პოლიტიკური პარტია „თეთრების“ დამფუძნებელი თემურ შაშიაშვილი შევიდა, თუმცა სააკაშვილის მხარდამჭერებმა შაშიაშვილი დარბაზიდან იძულებით გაიყვანეს.

ინციდენტის მიუხედავად მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლა გააგრძელა.

„თანამემამულეთა მსოფლიო კრების“ იდეა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის, რომელმაც მოძრაობა „ერთად სახლში“ ჩამოაყალიბა. მოძრაობის მიზანი ემიგრანტებთან ერთად საქართველოში დაბრუნებაა...

ეჭვგარეშეა, შარლატანი სააკაშვილი მალე ჩამოვა საქართველოში და თავისი ნებით დაჯდება საბრალდებო სკამზე...

## გაქცეულმა უნდა მითხრას, ვინ იქნება ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი?!

ჟურნალისტი **ნინო კვაჭანტირაძე**:

— „უკაცრავად კი ვარ, მაგრამ მე, რომელსაც ამ ქვეყნიდან ფეხი არ მომიცვლია, ვკვდები და ვხარობ, ვდარდობ და ვცოცხლობ ამ ქვეყნით, ვიღაც აქედან წასულმა და გადაცხოვრებულმა, გაქცეულმა უნდა მითხრას, ვინ იქნება ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, ან მიკარნახოს, აქ როგორ ვიცხოვრო? სადაც გინდა შეიკრიბეთ და მიშას მეტი არავინ დაგენახოთ, ოღონდ აქაურობის არევაზე და კიდევ უბედურებაზე ნუ ოცნებობთ, ჯერ არ მოგვშუშებია მაგ გიჟად დაბადებულის ნაავკაცარი. თუ ისევ გვიჭირს და ვბუქსაობთ, თუ ისევ ვერ აეწყო ისე, რასაც ველოდით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაცების დაბრუნებაზე ვოცნებობთ. „ოცნება“, არ ვიცი რითი შეგამკოთ ამდენი წლის მერე, ისევ ამათზე რომ ვლაპარაკობთ, ისევ მიშას ხუნტრუცს რომ დავსდევთ“...

პამფლეტი

### პაატა ნაცვლიშვილი:

# სააკაშვილიდან სააკაძემდე, ანუ სააკაძიდან სააკაშვილამდე

⑥ ⑦

# ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების იარაღით დამხობა აღიარეს ჯაბა იოსელიანმა, თენგიზ კიტოვანმა, თენგიზ სიგუამ...



⑧

უძლიერესი




# კვლავ ლაშა!

2018 წლის მსოფლიოს უძლიერეს ძალოსნად ლაშა ტალახაძე დასახელდა. პლანეტის უძლიერეს შტანგისტს ხმა 17800 ადამიანმა მისცა. გამოკითხვა www.iwf.net-ზე მიმდინარეობდა.

ქალთა შორის საუკეთესოდ 13 000 ხმით კვლავ ესპანელი ლიდია ვალენტინი დასახელდა.

**საკუთარი ინფორმაცია**

## „ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

„ცხოვრებაში ყოველთვის ვერ ირჩევ, ზოგიერთი შენ გირჩევს“



ანონსი

13 თებერვლიდან

ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

## მამუკა ბახტაძე: საქართველო გახდება ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც C ჰეპატიტს დაამარცხებს



**საქართველო არის ძალიან კარგი მაგალითი, რომ ერთად დგომით, ერთმანეთის მხარდაჭერით ყველაზე რთულ დაავადებებთან გამკლავება შესაძლებელია,** - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვირუსულ ჰეპატიტებთან დაკავშირებულ რეგიონულ საკონსულტაციო შეხვედრაზე — „მიღწევები ელიმინაციის გზაზე" სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ მსგავსი სახის ღონისძიება ევროპაში პირველად ტარდება და მასპინძელ ქვეყნად 53 სახელმწიფოდან სწორედ საქართველო შეირჩა.

მამუკა ბახტაძის შეფასებით, ეს საქართველოს მიერ ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული წარმატებული რეფორმების, განსაკუთრებით კი, C ჰეპატიტთან ბრძოლის საქმეში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის უდავო აღიარებაა.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით საქართველოს ვენეციის კომისია ეწვია

**შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გამოძიების ხარისხის გაზრდაა. ამ მიზნით, სისტემის შიგნით საგამოძიებო, ოპერატიული და საუბნო მიმართულებების გამიჯვნასთან ერთად, სამინისტრომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმა დაიწყო, რაც საკანონმდებლო დონეზე საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებების მკვეთრად გამიჯვნას გულისხმობს.**

სამინისტრომ შეიმუშავა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის კონცეფცია, რომელსაც ვენეციის კომისია შეაფასებს. ვენეციის კომისიის ექსპერტთა ჯგუფი სამუშაო შეხვედრებს სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ოფისის, ადვოკატთა კორპუსის წარმომადგენლებთან, მოსამართლეებთან და პარლამენტის დეპუტატებთან 2019 წლის 12 თებერვალს გამართავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ვენეციის კომისიის დელეგაციას მინისტრის მოადგილეებმა ნათია მეზვრიშვილმა და ნინო ჯავახაძემ უმასპინძლეს.



## საქართველოში ჩასასვლელად დღეს სიტუაცია მზად არ არის!



— ამის შესახებ საქართველოს ექს-პრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ექს-გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ბელგიის ქალაქ ლიეჟში ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

**„მეუბნებიან, როდის ჩამოდიხართ საქართველოში? ამაზე პასუხი არის ძალიან მარტივი, რა თქმა უნდა, ჩვენ ჩავდივართ საქართველოში, მაგრამ მინდა გკითხოთ თქვენ — ახლა სიტუაცია მზადაა, რომ ჩვენ ყველა ერთად წავიდეთ? დღეს სიტუაცია მზად არ არის, მაგრამ უახლოეს კვირებში და თვეებში ჩვენ ეს უნდა მოვამზადოთ",** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

## რამდენჯერაც შეეცდება ენმ თავის წამოწევას, იმდენჯერ გასცემს საზოგადოება პასუხს!

**„რამდენჯერაც შეეცდება „ნაციონალური მოძრაობა" თავის წამოწევას, იმდენჯერ გასცემს საზოგადოება საკადრის პასუხს. თუ დახმარება დასჭირდება საზოგადოებას, ჩვენც დავეხმარებით,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ლიეჟში გამართულ შეხვედრაზე, სადაც მიხეილ სააკაშილი ქართველ ემიგრანტებს შეხვდა



მისი თქმით, შეხვედრაზე მომხდარი დაპირისპირება სწორედ იმის დასტური იყო, რომ საზოგადოება არ მისცემს „ნაციონალურ მოძრაობას" თავის წამოწევის უფლებას და თუ ამაში ხელისუფლების დახმარება დასჭირდებათ, კობახიძის თქმით, დაეხმარებიან.

**„რამდენჯერაც შეეცდება „ნაციონალური მოძრაობა" თავის წამოწევას, იმდენჯერ გასცემს საზოგადოება საკადრის პასუხს. თუ დახმარება დასჭირდება საზოგადოებას, ჩვენც დავეხმარებით, ლიეჟში ამის საჭიროება არ იყო, სხვა შემთხვევაში შეგვიძლია, ჩვენც დავეხმაროთ. საზოგადოებამ გასცა პასუხი, როგორც წარსულში გაუცია, როგორც მომავალში გასცემს,"** — აცხადებს კობახიძე. მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას" უფლება აქვს, იქ შეიკრიბოს, სადაც უნდა, თუმცა პოლიტიკური პროცესების არასწორი მიმართულებით წარმართვის პრევენცია აუცილებელია.

## ირაკლი კობახიძე: „ქართული ოცნების" დაშლის საფრთხე არ არსებობს

**„თუ ყველა გვერდზე გადადებს სუბიექტურ ინტერესებს, ამ შემთხვევაში ყველაფერი იქნება კარგად",** — ასე უპასუხა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კითხვას მმართველ გუნდში დაპირისპირებასთან დაკავშირებით. ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა მოსამართლეთა შერჩევის პროცედურასა და კრიტერიუმებზე და ეს პროცესი საზოგადოების თვალწინ წარიმართება. მისივე შეფასებით, სასამართლოსთან დაკავშირებული თემით სპეკულირება არასწორია.

**„რაც შეეხება, სასამართლოს საკითხს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ რამდენიმე დღეში სიის წარმოდგენიდან მივიღეთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ საგაზაფხულო სესიაზე გადაიდებოდა ამ საკითხის განხილვა. მანამდე დავდეთ პირობა, რომ შემუშავდებოდა პროცედურა, კრიტერიუმები და ამის საფუძველზე იქნებოდა განხილული უკვე ახალი სია, რომელსაც წარმოადგენდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ, რომ არის ერთგვარი ქარიშხალი ჭიქაში, არაფერი არ ხდება ცუდი. პირიქით, ყველაფერი წარიმართება კარგად. ვმუშაობთ პროცედურაზე, კრიტერიუმებზე. ამის საფუძველზე იქნება წარმოდგენილი განახლებული სია. ეს ყველაფერი წარიმართება საზოგადოების თვალწინ, დაკვირვების ქვეშ და შესაბამისად, ყველამ მშვიდად უნდა უყუროს პროცესს. ასეთ დროს, ბუნებრივია, არასწორია სპეკულირება იმ თემით, რომელიც უკავშირდება სასამართლოს, იმიტომ, რომ ყველაფერს ვაკეთებთ ისე, როგორც საქმეს სჭირდება",** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

## მოსამართლეების „კლანის" მთავარი ლობისტის პირველი განცხადება

ვანო ზარდიაშვილი, რომელსაც მოსამართლეების კლანის მთავარ ლობისტად ასახელებენ, მედიასთან დღეს პირველად გამოჩნდა და „ქართულ ოცნებაში" არსებულ მწვავე დაპირისპირების შესახებ განცხადება გააკეთა.

**„ბრალდება აბსოლუტურად აბსურდულია. არარეალური და ყველანაირ საფუძველს მოკლებული. თუ ასეთი ბრალდება არსებობს, მე ასეთი არ მომისმენია. ეს მე მგონი მისი (ეკა ბესელიას) სუბიექტური ინტერესია და მისი სუბიექტური ხედვა. აქედან გამომდინარე მეტი კომენტირება უკვე შეუძლებელია",** — განაცხადა დეპუტატმა. მისი თქმით, ის სასამართლო სისტემას არ მართავს. **„ეს არის თითქმის შეუძლებელი, ვინც იცნობს კონსტიტუციას, სამართლებრივ ჩარჩოებს, აუცილებლად ის ადამიანი ამოიკითხავს, რომ ეს არის სუფთა პოლიტიკური ბრალდებები და ცილისწამება და არა რაიმე სამართლებრივად შესაძლებელი ფუნქცია ან განხორციელების შესაძლებლობა,"** — განაცხადა ვანო ზარდიაშვილმა.

## თუ მხარდაჭერა არ მექნება გუნდიდან, მივიღებ გადაწყვეტილებას, დავტოვო უმრავლესობა!

**პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება-სოციალდემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილე ბექა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საპენსიო რეფორმა ყველაზე დიდი საკანონმდებლო ცვლილებაა. საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით პრინციპულ საკითხებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ბექა ნაცვლიშვილი გუნდიდან წასვლას აანონსებს.**

სწორედ ამის გამო დეპუტატი ითხოვს, სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებული რეფორმა ამუშავდეს. ნაცვლიშვილის ინიციატივას დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ.

**„მიზანი არ არის ამ შემთხვევაში რაიმე რადიკალური ნაბიჯის გადადგმა. უბრალოდ, ეს არის მართლა ჩემი გადმოსახედიდან უნიკალური შანსი, რომ დიამეტრულად შეიცვალოს სოციალური პოლიტიკა ქვეყანაში. ამიტომ, მე თუ მხარდაჭერა არ მექნება, ამ შემთხვევაში გუნდის მხრიდან, ე.ი. ცხადია, განსხვავებები, რომელიც არსებობს. იმიტომ, რომ ეს არ არის პატარა მასშტაბის რეფორმა, ეს არის ყველაზე დიდი რეფორმა და ყველაზე დიდი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ამ ორი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საქართველოს პარლამენტში. ამიტომ განსხვავებებიც არის ძალიან დიდი და აქედან გამომდინარე, მე მივიღებ გადაწყვეტილებას — დავტოვო უმრავლესობა",** — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

# რატომ ვერ მდიდრდება საქართველო?

**საქართველო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდით უკვე 20 წელია მსოფლიოში მე-8 ადგილზეა. საქართველოში ეს მაჩვენებელი 1998 წლიდან 3,41-ჯერ გაიზარდა. ამ შედეგის მიღმა კი საქართველო მაინც დაბალშემოსავლიანი ქვეყნების რიგშია.**

საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოს ეკონომისტის ბესო ნამჩავაძის თქმით, აღნიშნულ ორ ფაქტს შორის სხვაობა განპირობებულია დემოგრაფიული ცვლილებებითა და ასევე იმით, რომ ქვეყნის ეკონომიკამ ჯერ კიდევ 20 წლის წინათ აღდგენა ნულიდან დაიწყო. ნამჩავაძე იმასაც ამბობს, რომ იმ ტემპით, რაც საქართველოს ამ დროისთვის აქვს, კიდევ დიდი ხანი ვერ მოახერხებს გამდიდრებას.

**„სამართლებრივი სისტემა და განათლება — ამ მიმართულებით ძალიან გვიჭირს. ეს არ გვაძლევს საშუალებას, სწრაფად განვვითარდეთ. ქვეყანა ვერ აწარმოებს ისეთს ვერაფერს, რომ იყო კონკურეტული და სხვა ქვეყანას აჯობო. ეს კი უკვე არის განათლების და ტექნოლოგიების პრობლემა. როცა საქართველოში ძალიან კარგი ბიზნესგარემოა, შრომა იაფია, კაპიტალის მოძრაობა არ არის შეზღუდული და შეგიძლია საქართველოში ააშენო ქარხანა, დაასაქმო ქართველი, კიდევ უფრო იაფად, ვიდრე უცხოელი. აქ უკვე სხვა პრობლემაა — სამართლებრივი და პოლიტიკური. ბევრს ეშინია აქ შემოსვლა, იმიტომ, რომ არ არის სამართლებრივი, პოლიტიკური გარანტია"** — ამბობს ბესო ნამჩავაძე.

„PMCG"-ის კვლევითი მიმართულების დირექტორის გიორგი ხიშტოვანის თქმით, კი ინდივიდუალური შემოსავლის ზრდა ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი შეფასებით, ფაქტორები, რომლებიც ამ შემთხვევაში მთავარ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და აღნიშნულ რეიტინგებში და სარეიტინგო ქულებში განსხვავებას გვაძლევს, შრომის ბაზარი და დასაქმებულთა შემოსავლებია.

**„თუ გამდიდრებას დავაკავშირებთ ინდივიდუალური შემოსავლების განაწილებას, აქ შედარებით უფრო მძიმე სიტუაციაა. დაქირავებით დასაქმებულების შემოსავლები ჯერ კიდევ ძალიან დაბალია და ზრდის ტემპი არც ისე მაღალი გვაქვს.**

**2017 წელს 2016 წელთან შედარებით რეალური შემოსავლების ზრდა იყო 0,2%, რაც ძალიან მცირეა. ასევე კიდევ ერთი ფაქტორია ის, თუ როგორ ვითარდება შრომის ბაზარი. სამუშაო ადგილები, როგორც წესი, ნაკლებად პროდუქტიულ და ნაკლებად შემოსავლიან სექტორებში იქმნება. მაგალითად, ვაჭრობა არის მთავარი დამსაქმებელი და ვაჭრობაში საშუალო ხელფასი არის ბოლოდან მესამე სექტორების მიხედვით შემოსავლიანობის სტატისტიკაში.**

**რატომ არ გავმდიდრდით? ქვეყანა, ნელ-ნელა კი მდიდრდება, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლები მაინც არის ძალიან მცირე და ეს მოსახლეობას უქმნის ობიექტურ აღქმას, რომ ჯერჯერობით გამდიდრებისგან მაინც შორს ვართ"** — განმარტავს „PMCG"-ის კვლევითი მიმართულების დირექტორი.

BM.GE




# თამარ სანიკიძე:
# ის, რაც ახლა კეთდება, მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიას არ შეესაბამება

**„ᲗᲣ უფასო ფაკულტეტების გაუქმება მოიაზრება დაფინანსების სისტემის ცვლილების კონტექსტში და არა განყენებულად, ეს კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც დაგვრჩება იქნება ის ,რომ რამდენიმე ათასი სტუდენტი აღარ დაფინანსდება“,** — ასე აფასებს განათლების ყოფილი მინისტრი თამარ სანიკიძე მიხეილ ბატიაშვილის განცხადებას, რომლის მიხედვითაც მომავალი წლიდან უფასო ფაკულტეტები გაუქმდება.

როგორც ბატიაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, დაფინანსების ახალ მოდელთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა.

**„უნდა ვთქვათ, უფასო დაფინანსების მოდელი არაფრის მომცემი არ არის, არანაირ შედეგზე არ არის ორიენტირებული.მომავალ წელს გავაკეთებთ ყველაფერს, რომ უფასო ფაკულტეტები აღარ იყოს,“** — განაცხადა ბატიაშვილმა.

საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტების 21 სპეციალობას სახელმწიფო 2014 წლიდან აფინანსებს. ამ დროს განათლების მინისტრის პოსტი თამარ სანიკიძეს ეკავა.როგორც სანიკიძემ „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა, უფასო ფაკულტეტების შემოღება არსებული ვითარების გათვალისწინებით აუცილებელი იყო, სანამ დაფინანსების მთლიანი მოდელი არ შეიცვლებოდა.

**„მოკვლევა რომ გაკეთდა, აღმოჩნდა, რომ გარკვეული მიმართულებები როგორებიცაა ფიზიკა, მათემატიკა და სხვა, არ იყო მოთხოვნადი და სტუდენტები ნაკლებად ინტერესდებოდნენ. სწორედ აქეთ მიემართა დაფინანსება, რომ გაცოცხლებულიყო ასეთი დარგები და მიმართულებები. სხვაგვარად უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა უბრალოდ შეუძლებელი იყო, რადგან ამის არანაირი მექანიზმი არ არსებობდა. ეს არაა მოდელი, რომელიც მუდმივად უნდა არსებობდეს ამაზე არავინ საუბრობს, უბრალოდ ეს იმ მომენტში იყო გამოსავალი არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით,“** — განმარტა სანიკიძემ.

სანიკიძის თქმით, სანამ დაფინანსების სისტემა არ შეიცვლება და ეს ყველაფერი არ მოწესრიგდება, მხოლოდ ისეთი ინტერვენციებითაა შესაძლებელი სტუდენტების შენარჩუნება, როგორიცაა უფასო ფაკულტეტები.

**„რაც შეეხება „მსოფლიო ბანკის“ დაფინანსების სქემის ცვლილებას, ამაზე საუბარი ჩემი მინისტრობის დროს დაიწყო, როდესაც სტრატეგიული მიმართულებები შემუშავდა და მაშინ ერთ-ერთი პრიორიტეტი უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსება იყო. მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო გააქტიურდა შემდეგ წლებში.**

**როდესაც მინისტრი მიხეილ ჩხენკელი იყო, მან განაცხადა, რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი სისტემა შევიდოდა ძალაში. ეს ასევე წერია განათლების და მეცნიერების 2017-2021 წლების დამტკიცებულ სტრატეგიაში, რომელშიც რეფორმის ყველა ძირითადი მიმართულება განსაზღვრული და ამას მიყვებოდა სამინისტრო, პერიოდულად თავად სტრატეგიის მონიტორინგიც კეთდებოდა,“** — აცხადებს თამარ სანიკიძე.

განათლების ექსმინისტრი „კომერსანტთან“ ინტერვიუში საატესტატო გამოცდებისა და უნარების გამოცდის გაუქმების ფაქტს უარყოფითად აფასებს.

**„არსებობს სტრატეგია, სადაც რეფორმებია გაწერილი, თუმცა არსებული ცვლილებები ამ სტრატეგიასთან შესაბამისობაში არ მოდის. განათლების სტრატეგიის შექმნაში ბევრი მხარე იყო ჩართული. ამ სტრატეგიის მიხედვით რაღაცის გამიზნულად გაუქმება არ მდგარა დღის წესრიგში. იქ საუბარი იყო ახალი მოდელების შექმნაზე განათლების ხარისხის, დაფინანსებისა თუ საგამოცდო სისტემის მიმართებით,“** — განაცხადა თამარ სანიკიძემ.

**როგორც ზემოთაც ითქვა, საქართველოში სახელმწიფო უნივერსიტეტების 21 სპეციალობას სახელმწიფო 2014 წლიდან აფინანსებს. ყველა სტუდენტი, ვინც განათლების სამინისტროს მიერ პრიორიტეტულად განსაზღვრულ ფაკულტეტებზე ჩააბარებს, 100%-იან დაფინანსებას იღებს. უფასო სპეციალობებია — აგრონომია, ვეტერინარია, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება, საინჟინრო ფიზიკა, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, მშენებლობა, აგროინჟინერია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი, გამოყენებითი ბიომეცნიერებები, ეკონომიკა, ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, არქიტექტურა და არქეოლოგია.**

მიხეილ ბატიაშვილის განცხადებით, ვაუჩერული სისტემა დარჩება და მასთან ერთად, ახალი მოდელი ამოქმედდება.

რაც შეეხება დოკუმენტს — „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“, მასში აღნიშნულია,რომ დაფინანსების არსებული მოდელი გამოწვევებს ვერ უპასუხებს.

**„ვაუჩერი კი უნივერსიტეტების შემოსავლის ძირითადი წყაროა. შესაბამისად, ვაუჩერული სისტემა არაერთ უარყოფით შედეგს იწვევს: აყალიბებს მართვის არაჯანსაღ სისტემებს, სრულად მაინც ვერ უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და არ ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას, ინსტიტუციური განვითარებისთვის აუცილებელ სტაბილურობას. ვითარებას მნიშვნელოვნად ვერ ცვლის ე.წ. პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსებაც. ამდენად, საჭიროა შემუშავდეს უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც დაეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას,“** — აღნიშნულია დოკუმენტში.

**მარიამ ტიტვინიძე**

# სოფელ მუხრანში 62-ე საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

**200-ზე მეტი სერვისი სოფლიდან გაუსვლელად, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი თანამედროვე ბიბლიოთეკა ციფრული და ბეჭდური წიგნებით, 24-საათიანი უკაბელო უფასო ინტერნეტი და სკაიპის ოთახი, საბანკო მომსახურება დღეიდან ეს ყველაფერი მუხრანისა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებთათვის ადვილად ხელმისაწვდომი იქნება. თეა წულუკიანმა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში 62-ე საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდა ხორვატიის საჯარო ადმინისტრირების მინისტრი ლოვრო კუშჩევიჩი, რომელიც საქართველოში სახელმწიფო მმართველობის სფეროში გატარებული ინოვაციური რეფორმების შესწავლის მიზნით იმყოფება. მუხრანის საზოგადოებრივი ცენტრის გახსნაზე იმყოფებოდნენ აგრეთვე მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე, მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები.**



**თეა წულუკიანმა მუხრანელებს და მეზობელი სოფლების მკვიდრთ საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა მიულოცა და უფასო ელექტრონული მოწმობების აქციის ფარგლებში პირადობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი გადასცა სოფელ მუხრანის მკვიდრ სარქის გავაკეთაშვილს, რომელიც აქამდე ქაღალდის (ლამინირებულ) პირადობის მოწმობას ფლობდა. იუსტიციის მინისტრმა მუხრანელებს მოუწოდა, ჩაერთონ ამ აქციაში, შეცვალონ ძველი დოკუმენტი ახლით და სრულიად უფასოდ მიიღონ პირადობის ელექტრონული მოწმობა, რომელიც თანამედროვე, გაუყალბებელი და ევროპული დოკუმენტია.**

**მუხრანის საზოგადოებრივი ცენტრის პირველი მომხმარებელი ვლადიმერ ბუქური იყო, რომელმაც ძველი პირადობის ახლით შეცვლაზე შემოიტანა განაცხადი.**

# მარტიდან სურსათის ეტიკეტი სრულიად სხვაგვარი იქნება

**2019 ᲬᲚᲘᲡ პირველი მარტიდან ეტიკეტის საშუალებით მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ახლებურად დარეგულირდება. ბიზნესს ახალი წესები არ მოსწონს და შენიშვნები აქვს. გადავადდება თუ არა ეტიკეტირების ნორმების შემოღება, ჯერ ცნობილი არ არის.**

მარტიდან ასამოქმედებელი რეგულაციების მიზანია, მომხმარებელს მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდოს გაყიდვაში არსებული სურსათის შესახებ და ამით მათი ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვას შეუწყოს ხელი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი რეგულაციით ეტიკეტზე დასატანი სავალდებულო ინფორმაციის ჩამონათვალი გაიზარდა. მათ შორის სავალდებულოა, ეტიკეტზე განთავსდეს ინფორმაცია სურსათის უვნებელ მოხმარებასთან დაკავშირებით, რადგან გარკვეულ შემთხვევებში პროდუქტის შემადგენლობა შესაძლებელია, საზიანო იყოს მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფებისათვის.

ეტიკეტზე ასევე განთავსებული იქნება ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ, რომელიც მომხმარებელს, მათ შორის განსაკუთრებული კვებითი მოთხოვნების მქონე მომხმარებელს, ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობას მისცემს.

ახალი რეგულაციით განისაზღვრა ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის შრიფტის ზომა და სურსათის შესახებ ინფორმაციის ფორმა (ზუსტი, მკაფიო, მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები) და ადგილი (თვალსაჩინო).

ტექნიკური რეგლამენტი „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების — სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად მომზადდა.

დამატებითი რეგულაცია არც ერთ ბიზნესს არ მოსწონს, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი მხრიდან რეაქცია მყისიერი და მწვავე იყო. საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის რისკების მართვის მენეჯერი **ლაშა ლომოური** მარტიდან ასამოქმედებელი რეგულაციების ნაკლოვანებაზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ ბევრი დეტალი დასაზუსტებელია. მისი აზრით, საქონლის ეტიკეტირების ახალი წესი პირდაპირ ევროპული სტანდარტებიდან არის გადმოღებული და ის საქართველოს ბაზარზე მორგებული არ არის.

**„ბევრი რამ გაურკვეველი და ბუნდოვანია. მაგალითად მოგიყვანთ 28-ე მუხლის I და II პუნქტებს, სადაც წერია, რომ „თუ ზედაპირის ფართობი საშუალებას იძლევა კვებითი ღირებულება გამოსახული იყოს ცხრილის სახით და ციფრები სვეტის სახით. სხვა შემთხვევაში, როდესაც საშუალებას არ იძლევა, საკვები ნივთიერებები გამოსახული უნდა იყოს სწორხაზოვნად“. აქ არ არის კონკრეტიკა, რა ფართობის ზევით და ქვევით არის აუცილებელი ცხრილის გაკეთება.**

**ჩვენ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამა თუ იმ პროდუქტზე არაა საჭირო ცხრილის ეტიკეტის დაკვრა ფართობიდან გამომდინარე და ინსპექტორმა პირიქით მიიჩნიოს და ამის გამო დაჯარიმდნენ ბიზნესოპერატორები. ბევრი კითხვა არსებობს და აუცილებელია ამ ყველაფერზე პასუხის მიღება. საქონლის ეტიკეტირების ახალი წესი პირდაპირ ევროპული სტანდარტებიდან არის გადმოღებული და ის საქართველოს ბაზარზე მორგებული არ არის“,** — განაცხადა „საქმიან დილასთან“ ლაშა ლომოურმა.




**ბექა დანელია**




# ხალხი გაზის გაზრდილ გადასახადს აპროტესტებს!

**რეგიონებში მოსახლეობა ბუნებრივ აირზე დარიცხულ გაზრდილ გადასახადს აპროტესტებს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, წინა თვეებთან შედარებით, მიმდინარე თვეში გაორმაგებული გადასახადი დაერიცხათ. კომპანიას თავისი არგუმენტები აქვს, რაც აბონენტებისთვის, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებელი არ არის.**

რამდენიმე დღის წინათ განსაკუთრებით აღშფოთებული იყო რუსთავის მოსახლეობა. ასობით ადამიანი აცხადებდა, რომ ბუნებრივი აირის გადასახადი იანვრის თვეში, წინა თვეებთან შედარებით, გაორმაგებულად დაერიცხათ და მრიცხველის ჩვენება არარეალურია, რადგან გაზს იგივე რაოდენობით მოიხმარენ.

რამდენიმე მომხმარებელმა განაცხადა, რომ იანვრის თვეში საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა, მაგრამ გადასახადი თითქმის იგივე აღირიცხა, რაც დეკემბრის თვეში.

**„31 დეკემბრის შუადღიდან 20 იანვრის საღამომდე არ ვიყავი სახლში. ქვითარი კი 26 დეკემბრიდან 27 იანვრის ჩათვლით იყო მოსული. მიუხედავად იმისა, რომ სახლში ამდენი დღე არ ვიმყოფებოდი, გადასახადი თითქმის იგივე მომივიდა, რაც ნოემბრის ბოლოდან დეკემბრის 26-მდე იყო მოსული“,** — განაცხადა მომხმარებელმა დეა მინაძემ.

გაზრდილი გადასახადის დარიცხვამ ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ „სოკარ ჯორჯია გაზი“ იძულებული გახდა, მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის დარიცხვებთან დაკავშირებით განმარტება გაეკეთებინა.

კომპანიის ინფორმაციით, გარე ტემპერატურის თუნდაც 1 გრადუსით დაწევა იწვევს გაზის ხარჯის 3-4%-ით ზრდას.

**„მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის დარიცხვებთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და კომპანიის ცხელ ხაზზე შემოსული დიდი რაოდენობის ზარების გათვალისწინებით, გვსურს, განგიმარტოთ იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირის ხარჯების მომატებასთან.**

**კვლევების თანახმად ცნობილია, რომ გარე ტემპერატურის თუნდაც 1 გრადუსით დაწევა იწვევს გაზის ხარჯის 3-4%-ით ზრდას. თუ თქვენს საცხოვრებელ სახლში გამათბობელი გარკვეულ ტემპერატურაზეა დაყენებული, თქვენი დანადგარი მუშაობს შესაბამისი დატვირთვით, მაგრამ როგორც კი გარეთ ტემპერატურა დაიწევს, იმისათვის რომ შენარჩუნდეს სასურველი ტემპერატურა თქვენს სახლში, დანადგარს უწევს მეტი დატვირთვით მუშაობა, რაც შესაბამისად ზრდის გაზის მოხმარებას/ხარჯს. აქვე გასათვალისწინებელია წყლის ტემპერატურის ცვალებადობა. რაც უფრო დაბალია შემომავალი წყლის ტემპერატურა, მით მეტი ენერგიაა (მოცემულ შემთხვევაში ბუნებრივი გაზი) საჭირო მის გასათბობად.**

**იანვრის თვე დატვირთულია დღესასწაულებით. რაც ბუნებრივია აისახება გაზის მოხმარებაზე. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, თუ თქვენ კვლავ არ ეთანხმებით იანვრის თვეში განხორციელებულ დარიცხვას, შეგიძლიათ მიმართოთ კომპანიის ცხელ ხაზს ნომერზე 16 114, სადაც ოპერატორები მოგაწოდებენ ინფორმაციას გასული წლების ანალოგიური პერიოდის ხარჯებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მოგცემთ, მოახდინოთ შედარებითი ანალიზი.**

**ასევე თუ ეჭვი გაქვთ, რომ თქვენი მრიცხველი გამართულად არ მუშაობს, შეგიძლიათ, მოითხოვოთ მისი შემოწმება, თქვენი მომართვის საფუძველზე მრიცხველი გაიგზავნება ექსპერტიზაზე და, იმ შემთხვევაში თუ დადგინდა, რომ მრიცხველი აღრიცხავს ცდომილებით, თქვენი ხარჯი დაკორექტირდება და ექსპერტიზის ხარჯს დაფარავს კომპანია, ხოლო თუ დადგინდება მრიცხველის გამართული მუშაობა, ხარჯები დაიფარება განმცხადებლის მიერ“,** — ნათქვამია განცხადებაში.

**ბექა დანელია**

# უპირველესად, ჯერ ვაკეში უნდა აშენდეს მეტრო და შემდეგ დიდ დიღომში

**დიდ დიღომში მიწისზედა მეტროს მშენებლობა იგეგმება. მართალია, დიდი დიღმელებისთვის ეს სასიამოვნო სიახლე 2019 წელს დაგეგმილი პროექტების ნუსხაში არ არის, მაგრამ ამ პროექტის განხორციელება გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. მის აუცილებლობაზე საუბრობს თბილისის ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე, რომელიც შესაბამისი პროექტის მომზადება-დამუშავებასაც აანონსებს.**

დიდი დიღმის მიმართულებით მეტროს მშენებლობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი მოსახლე ცხოვრობს და გადაადგილდება.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ თანხა, რომელიც სამგორი-ლილოს მიმართულებით მიწისზედა მეტროს მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს, დიდი დიღმის მიმართულებით უფრო მეტ ეფექტს მოიტანს, რადგან ლილოს მიმართულებაზე საათში 9000-მდე მგზავრი გადაადგილდება, მაშინ, როცა დიდ დიღომს გაცილებით დიდი მგზავრთნაკადი ჰყავს.

თავის დროზე ქართველმა სპეციალისტებმა უცხოელებთან ერთად დიდი დიღმის მიმართულება განიხილეს. თუმცა იმ პერიოდში დიდ დიღომში მეტროზე მსჯელობა ნაადრევი იყო, რადგან მეტრო 100 ათას ადამიანს მაინც უნდა მომსახურებოდა დღიურად. იმდროინდელი მგზავრთა ნაკადი კი ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. დღეს კი ვითარება შეიცვალა და დიდი დიღმის მოსახლეობა მრავალრიცხოვანია.

არქიტექტორი **გიგა ბათიაშვილი** აცხადებს, რომ დიდ დიღომში აუცილებელია მიწისზედა სისტემის, მეტროს აშენება. ეს ჯერ კიდევ 70-იანი წლების მიწურულს იყო დაგეგმილი, უბრალოდ, ვერ განხორციელდა და, თუ ახლა ჩაუყრიან ამას საფუძველს, მხოლოდ მისასალმებელია.

**„თავის დროზე ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, რადგან ყველაფერს აქვს თავისი რიგი. საჩქაროდ იყო გასაკეთებელი სადგურიდან თავისუფლების მოედნამდე მეტროს ხაზი, შემდეგ ამას მოჰყვა სადგურიდან დიდუბემდე ხაზი, მერე თავისუფლების მოედნიდან სამას არაგველამდე, ამის შემდეგ დაიწყეს საბურთალოს ხაზზე მუშაობა. დიდი დიღმის მიმართულება კი ჩაფიქრებული იყო შემდგომ ეტაპზე. ამასობაში გაქრა საბჭოთა კავშირი და არავის უფიქრია ამ ხაზზე. ვეღარ ასწრებდნენ და მანდ დროებით გაატარეს ტრამვაის ხაზი. მერე რატომღაც ომი გამოუცხადა ჩვენმა „ჭკვიანმა“ ხელისუფლებამ ტრამვაი-ტროლეიბუსს, რელსები გაყიდეს, საკონტაქტო ხაზებიც გაყიდეს და დიდი დიღომი დარჩა ამ სიკეთის გარეშე. დღეს კი დიდ დიღომში მეტროსადგურის მშენებლობა აუცილებელია“,** — აცხადებს გიგა ბათიაშვილი.

ურბანისტი **ირაკლი მასხარაშვილი** აცხადებს, რომ დიდ დიღომში მეტროსადგურის აშენება თავის დროზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს საკითხი მაშინ ჰაერში გამოეკიდა. მით უმეტეს, დიდი დიღმიდან გლდანის მეტროებამდე ერთი ხაზია და ამ ხაზის გაგრძელებაა საჭირო. ურბანისტის თქმით, ქალაქი ცოცხლობს ქუჩებითა და მაგისტრალებით, ამიტომ სასწრაფოდ გასაკეთებელია სატრანსპორტო გენერალური სქემა.

**„მთლიანობაში არ არის გააზრებული მთელი ქალაქი და დღეს სამარცხვინო ვითარებაა იმის გამო, რომ მილიონ მოსახლეზე ოდნავ დიდი ქალაქი იხრჩობა მანქანებით. რა თქმა უნდა, მეტრო შეამცირებს კერძო ტრანსპორტით გადაადგილებას, მაგრამ ეს მაინც ადამიანის პირადი არჩევანია. არჩევანს აკეთებს თვითონ მომხმარებელი, საკუთარ მანქანებზე კი ბევრი ადამიანი ვერ იტყვის უარს. მე მაინც ვფიქრობ, რომ დიდი დიღომი შემდგომი ეტაპია. დღეს, პირველ რიგში, უნდა ვუშველოთ ვაკეს. ვაკის ათვისებაა საჭირო მეტროთი, მიწისქვეშა ტრანსპორტი დღეს ვაკეს სჭირდება. ვაკეში ცხოვრება უკვე არ შეიძლება. დღესვე უნდა მოინიშნოს ტერიტორიები, სადაც უნდა ამოვიდეს მეტროსადგური. ვაკე დღეს გეტოდაა გადაქცეული. ეს მაშინ, როცა ვაკე რუსთაველის გამზირის ჩვეულებრივი გაგრძელებაა და ვაკეში მეტროს ორი სადგური მაინც უნდა გაკეთდეს - ერთი ძველ უნივერსიტეტთან და მეორე ვაკის პარკისკენ“,** — აცხადებს ირაკლი მასხარაშვილი.

**მანანა ნოზაძე**



# წლეულს მუცოში ტურისტული ინფრასტრუქტურა ამოქმედდება

**წლევანდელი წლიდან მუცოში ტურისტული ინფრასტრუქტურა ამოქმედდება,** — ამის შესახებ Bm.ge-ს საქართველოს კულტურული მემკიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს. როგორც სააგენტოში განმარტავენ, მუცოს მკვიდრებს საშუალება ექნებათ, თავიანთ საკუთრებაში მყოფი საცხოვრისებში სასტუმროები მოაწყონ და ტურისტები მიიზიდონ.

მუცოს რეაბილიტაციის მეოთხე ფაზა უკვე დასრულდა, დარჩენილია მხოლოდ ინფრასტრუქტურული ნაწილი — მისასვლელი გზები, მოაჯირები, რომელიც ივლისის თვემდე უნდა დამთავრდეს.

**„პარალელურ რეჟიმში დაწყებულია მუშაობა კონცეფციაზე, თუ როგორ ვაქციოთ მუცო ცოცხალ ორგანიზმად, ვფიქრობთ, რომ ეს საცხოვრისები ეთნოგრაფიული ელემენტებით უნდა მოეწყოს. ამ ყოველივეს საექსპოზიციო კონცეფციის ის ძირითადი დოკუმენტი განსაზღვრავს, რომელზეც სააგენტოს სპეციალისტები უკვე მუშაობენ. მთავარია ეს სასტუმრო ინფრასტრუქტურა ძეგლთა დაცვის ძირითად პრინციპებს დაექვემდებაროს, რაც ციხე-სოფლის საცხოვრისებისა და კოშკების ავთენტური იერსახის შენარჩუნებასა და სათანადოდ მოვლა-პატრონობას გულისხმობს“** — აცხადებენ სააგენტოში.

მუცოში ისტორიულად ორი გვარი სახლობს: დაიაურებისა და შეთეკაურების. ამჟამად ციხე-სოფელში სამი მუდმივად მცხოვრები ოჯახია დაიაურების გვარიდან. სააგენტოში ვარაუდობენ, რომ ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულების შემდეგ, მუდმივ მცხოვრებთა რაოდენობა გაიზრდება.

**„გვსურს, სტიმული მივცეთ მუცოში უკვე დაფუძნებულ სამ ოჯახს, რომლებიც მუდმივ მცხოვრებლებად ითვლებიან. იმედი გვაქვს, რომ მათ სხვა ოჯახებიც დაემატებიან, თუნდაც სეზონურად. გვინდა, რომ მათ ეთნოგრაფიულად მოწყობილ საცხოვრისებში ეთნოტურიზმისთვის გათვალისწინებული, თანამედროვე სასტუმრო ინფრასტრუქტურა აამოქმედონ და ამ მიმართულებით სამეწარმეო საქმიანობა გააქტიურონ. ეს საგვარეულო საცხოვრისებია და ყველა მათ თავისი მესაკუთრე ჰყავს. ამ ადამიანებს შეუძლიათ, უკვე წლევანდელი წლიდან ტურისტები მიიღონ. სახელმწიფო მათ კონსულტაციების სახით დაეხმარება, თუ როგორ შეიძლება ეს ისტორიული ციხე-სოფელი ტურისტული მიმართულებით გააცოცხლონ“** — განმარტავენ სააგენტოში.

ამავდროულად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მუცოს ციხე-სოფლის კონსერვაციის პროექტი „ევროპა ნოსტრას“ ევროპული მემკვიდრეობის კონსერვაციის საუკეთესო პროექტების კონკურსში წარადგინა. მიენიჭება, თუ არა მას ეს ნომინაცია, მარტში გაირკვევა.

**„თუ ეს პროექტი გაიმარჯვებს, ეს დაეხმარება მუცოს ტურისტულ რუკაზე გაჩნდეს, მას დამატებითი პრივილეგიები მიენიჭება და მიზიდულობის ცენტრი გახდება ტურისტებისთვის“** — აცხადებენ სააგენტოში.

**მუცოს აღდგენისა და გადარჩენის პროექტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის ფინანსური თანადგომით 2014 წლიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში მუცოში 2 665 000 ლარის ინვესტიცია უკვე განხორციელა. სოფელი მუცო მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ პირიქითა ხევსურეთში, მდინარე არდოტის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.**

*2007 წელს, როგორც ფუნქციური ნეიროქიმიის სპეციალისტს, წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში შემომთავაზეს ფსოქოლოგებისთვის ფსიქობიოლოგიის კურსის წაკითვა, ამ მიზნით სპეციალურად გავეცანი მსოფლიოს უნივერსიტეტების ფსიქოლოგების მომზადების სასწავლო პროგრამებს და იმათ სილაბუსებს, რომელთა მიხედვითაც ფსიქოლოგებისთვის მოვამზადე ორი სახელმძღვანელო: სალექციო კურსი (2013) და „ფსიქობიოლოგიის საფუძვლები“ (ნ. ალექსიძე 2013, 2014). უცხოეთის უნივერსიტეტების ფსიქოლოგების სასწავლო პროგრამების გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ უცხოეთში ფსიქოლოგების მომზადება ძირითადად ხდება ფსიქობიოლოგიის სწავლების საფუძველზე. მართალია, არის 1999 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტში გამოცემული სახელმძღვანელო „ბიოლოგიური ფსიქოლოგია“ (Biologycal Psychology. M. Rosenzweig, A. L. Leiman, S. M. Breedlove), მაგრამ შინაარსის მიხედვით, ფსიქოლოგიური პროცესების განმარტება ხდება ბიოლოგიური, კერძოდ, ფუნქციური ნეიროქიმიური მიღწევების საფუძველზე. ამაზე მიგვანიშნებს აგრეთვე ქვემოთ წარმოდგენილი წყაროები, სადაც სწორედ ფსიქობიოლოგიის პროცესებზეა გაკეთებული მინიშნებები: Ursin, H., E. Baade, and S. Levine (1978); Psychobiology of Stress. Academia Press, New York. Psychobiology have since continued to pursue a broad range of projects focused around the growth of brain circuits, consolidation of the memory trace. Department of Psychobiology, University of Pais Vasco, Alto de Zorroaga, sln., (2014). San Sebastian. A. Psychobiology- the highest degree of racM.D.Psychobiology. A Study of Attitude Toward Life. Developmental Psychobiology, 18: 395 - 409. Murphy, T. H.; Blatter, L. A.; Wier, W. G. & Baraban, J. M. (1993).*

# ვინ უნდა დაიცვას სკოლის მოსწავლეები ბულინგისა და მკვლელობისაგან?



## ტექნიკური პროგრესი - როდის მტერი და როდის მოყვარე?!

ალნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი ორივე სახელმძღვანელო სწორედ ფსიქობიოლოგიის სახელწოდებით იქნა გამოცემული. დასანანია, რომ საქართველოში ფსიქოლოგების მომზადება ძირითადად ხდება ბიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძველზე, რაც ემყარება ვერბალურ, ლოგიკურ შეფასებასა და გაანალიზებას.

მას შემდეგ, რაც დეტალურად გავეცანი უცხოეთში გამოქვეყნებულ ბიოლოგიური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებს, დავრწმუნდი, რომ განწყობა, სტრესი, აგრესია, მკვლელობა, თვითმკვლელობა, კოგნიტიური მეხსიერება, ქცევა და სხვა სახის ფსიქოლოგიური პროცესების განხილვა და გაანალიზება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოში ხდება თანამედროვე ფუნქციური ნეიროქიმიის მიღწევების გაუთვალისწინებლად. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახის ფსიქოლოგიური ხასიათის ქცევების გამოვლინებას წინ უსწრებს ცვლილებები ჰორმონებისა და ნეირომედიატორების რაოდენობრივ განაწილებაში, რაც ადაპტაციური სინდრომის რეპროგრამირების გზით ხორციელდება (Ursin H., Baade E., Levine S. 1978; Frankenhaeuser M. P. 1978; ნ. ალექსიძე 2017: N. Aleksidze, Tanseli N. Nova Science Publisher, 2015). აღნიშნულის გათვალისწინებით მოვახდინეთ დ. უზნაძის ფსიქოლოგიური განწყობის თეორიის **(განწყობა-ქცევა)** მოდიფიცირება და ფსიქოლოგებს შევთავაზეთ განწყობის ამსახველი ტრიადა: **განწყობა-ადაპტაციური სინდრომი-ქცევა,** რომელიც თანამედროვე ფუნქციური ნეიროქიმიის მიღწევებიდან გამომდინარე, სრულად ესადაგება განწყობის ფსიქობიოლოგიურ საფუძვლებს (N. Aleksidze, Psychobiological foundation of the Theory of Attitude. J. Advances in Psychology Research“, 2013). ასეთი წინასიტყვა იმიტომ წარმოვადგინეთ, რომ თანამედროვე ფსიქოლოგების მოსამზადებლად თუ გადასამზადებლად სკოლის ფსიქოლოგებმა კარგად უნდა გაითავისონ არასასურველი, აგრესიული თუ კრიმინალური ქცევების პრევენციის მიზნით აუცილებელია ფსიქობიოლოგიის სრულყოფილი ცოდნა. ალბათ დროა, ფსიქოლოგების მოსამზადებლად ბაკალავრების სასწავლო პროგრამაში ჩავრთოთ ფსიქობიოლოგია, როგორც საბაზისო საგანი.

მივესალმები განათლების მინისტრის წამოწყებას სკოლებში სასწავლო პროგრამების რეფორმის შესახებ, რომელთა შორის მნიშვნელოვანია სკოლებში ფსიქოლოგების განწესება და მათი გადამზადება, თუმცა ვერ დავეთანხმები სკოლაში მანდატურების არსებობას და მათ გადამზადებას. სკოლაში მანდატურების არსებობამ არ გაამართლა, მოსწავლეებს შორის აგრესიული დამოკიდებულება, ბულინგი და მკვლელობები გრძელდება, ისინი, ფაქტობრივად, მხოლოდ მომხდარის რეგისტრაციას ახდენენ და აცნობებენ პოლიციას ინციდენტის შესახებ, როგორც ეგრეთ წოდებული კომუნისტების დროინდელი „მაყურებელი“. რეალურად კი საჭიროა სკოლებში არა ინფორმატორების არსებობა, არამედ სათანადოდ მომზადებული ფსიქოლოგების აქტიური მოქმედება და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

გავიხსენოთ, რომ ადრე მანდატურის ფუნქციას კლასის დამრიგებელი ასრულებდა, სასურველია, სწორედ მათ დაევალოთ ეს ფუნქცია და ფინანსური დანამატიც მიეცეთ, მჯერა, რომ კლასის დამრიგებლები, როგორც ავტორიტეტი, უკეთესად და წარმატებით გაართმევენ თავს ამ ფუნქციის შესრულებას. სკოლის ფსიქოლოგებს კი ნამდვილად სჭირდებათ სერიოზოლი პროგრამით გადამზადება, რათა კარგად შეისწავლონ სკოლის მოსწავლეებში ბულინგის, აგრესიული ქცევისა და ხშირად მკვლელობის შემთხვევბის ფსიქოლოგიური მიზეზები, საჭიროა, მათ კარგად გაითავისონ 5 ფსიქოლოგიური ფაქტორი, როგორებიცაა:

**1. ოჯახში აგრესიული სოციალური გარემოს პირობებში** პოსტემბრიონული განვითერებისას ახალშობილები სარკისებრი ნეირონებით ემფატიკურად ითვისებენ ოჯახის წევრებს შორის აგრესიულ დაპირისპირებას, რაც თავის ასახვას პოულობს გენეტიკური აპარატის დონეზე და შედეგად ხდება ახალგაზრდის აგრესიულ პიროვნებად ჩამოყალიბება. სკოლის ფსიქოლოგი კარგად უნდა ფლობდეს თითოეული მოსწავლის ოჯახში ფსიქოემოციურ მდგომარეობას. პრევენციის მიზნით სასურველია, სკოლის მოსწავლეებს შევთავაზოთ ჰოლანდიური და მდნარი ყველის ბუტერბროდები, რომელთა შემადგენილობაში, ყოველ 100 გ-ში, შესაბამისად, აგრესიის შემაკავებელი სეროტონინის წინამორბედი ამინომჟავას რაოდენობა 750 და 500 მგ-ია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს აგრესიისა და მკვლელობის შემთხვევებს, მაგალითად, აგრესიული მკვლელი ვირთაგვების საკვებში 100/125 მგ ტრიპტოფანის დამატების შედეგად ვირთაგვები ტოლერანტული გახდნენ თაგვებისა და ბაყაყების მიმართ და მკვლელობის არც ერთი შემთხვევა არ დასასტურებულა.

**2. არასრულფასოვან კვებაში იგულისხმება** ისეთი პროდუქტებით კვება, რომლებიც მცირე რაოდენობით შეიცავენ სეროტონინის წინამორბედი ამინომჟავა ტრიპტოფანს (ტრიპტოფანით მდიდარი პროდუქტების ჩამონათვალი იხილეთ სახელმძღვანელოში „ფსიქობიოლოგიის საფუძვლები“. ნ. ალექსიძე, 2014).

**3. 14-16 წლის ასაკის ვაჟებში,** მათი გარდატეხის ასაკის გათვალისწინებით, ორგანიზმში საგრძნობლადაა მომატებული სასქესო ჰორმონები, რაც იწვევს ახალგაზრდების გააგრესიულებას, შედეგად, იზრდება მკვლელობის რისკიც. ვირთაგვების წყალში ცურვით დაღლის შემდეგ ისინი აგრეთვე ტოლერანტული გახდნენ თაგვებისა და ბაყაყების მიმართ. ამიტომ, პრევენციის მიზნით უნდა გაძლიერდეს სკოლებში ფიზიკური დატვირთვები, რათა ინაქტივირებული იქნეს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მათ შორის სასქესო ჰორმონები.

სამწუხაროდ, საქართველოში ბევრს საუბრობენ მკვლელობის შემთხვევებზე, მაგრამ არავის დაუსვამს კითხვა, იბადებიან თუ არა მკვლელი ბავშვები. პასუხი ერთმნიშვნელოვანია, იბადებიან მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც მათ ორგანიზმში ქრომოსომების დონეზე წარმოდგენილია „ომისა“ და „მკვლელობის“ გენები (XXY, XXYY), ასეთი ბავშვები მაღლები და გამხდრები არიან და ახასიათებთ კრიმინალური ქცევისადმი მიდრეკილება. სწორედ აქ ევალებათ სკოლის ფსიქოლოგებს, გამოიჩინონ მეტი ყურადღება მათ მიმართ და ყურადღებით უნდა დაუკვირდნენ მათ ქცევებს.

**4. არანაკლებ საზიანო აღმოჩნდა მობილური ტელეფონებისა და ინტერნეტის გავლენა ყველა ასაკის ადამიანზე, რომლებიც გატაცებული არიან მობილურ ტელეფონებში „ქექვით“. მობილური ტელეფონებში „ქექვის“ გამო ახალგაზრდები დაავადდნენ „სოციალური ნარკომანიით“, სარკისადმი მიდრეკილებით.** (N. Aleksidze. How to Protect Young People from Social Drug Addiction. Psychology & Psychological Research International Journal. 2018), **ახალგაზრდებმა თავი დაანებეს წიგნების კითხვას, არის თავის ტვინში კიბოს და ეპილეფსიის ჩამოყალიბების რისკი, ახალგაზრდებს ერღვევათ ცირკადული რითმი, ბევრი მათგანი აუტიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნითაა დაავადებული, კერძოდ, სოციალური იზოლაციით, ისინი განერიდებიან ოჯახის წევრებსა და მეგობრებს და იკეტებიან საკუთარ ოთახებში. ძალიან რთულია სოციალური ნარკომანიისაგან განკურნება. როდესაც მაიმუნს შეასწავლეს მობილურ ტელეფონში „ქექვა“, მობილურით გატაცების შემდეგ მან შეწყვიტა კვება და მობილურს არ იცილებდა ხელიდან. სამწუხაროდ, ამ დაავადების ასაცილებლად, ალბათ ერთ-ერთი პრევენციული საშუალებაა მათთვის სასურველი საქმიანობით დაინტერესება.**

**5. სამწუხაროდ, სატელევიზიო გადაცემებით რომ ძლიერდება მკვლელობისა და თვითმკვლელობის წახალისება, ამის შესახებ, ალბათ, არც ერთ ფსიქოლოგს ეჭვი არ შეეპარება. ამერიკაში 7 წლის განმავლობაში სწავლობდნენ ტელევიზიით მკვლელობის შესახებ გადაცემული ინფორმაციის გავლენას მოსახლეობის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. დადგენილ იქნა, რომ მსგავსი ინფორმაციის გადაცემის შემდეგ მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები ორი თვის განმავლობაში 58-ჯერ გაიზარდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სიენენმა შეწყვიტა ტელევიზიით გარდაცვლილების, სიხლისა და სისხლიანი დანების ჩვენება. იქნებ ჩვენმა ტელევიზიებმაც გაიზიარონ მათი გამოცდილება, რათა დავიცვათ ჩვენი ახალგაზრდობა აგრესიის ფორმირებისა და ფსიქიკური დარღვევებისაგან (Aleksidze N. 2015; N. Aleksidze. MOJ Addiction Medicine and Therapy, 2018; N. Aleksidze. Psychology And Psycological ReResearch International Journal. 2018; N. Aleksidze Intern. J. Of Inovative Sci. and Res. Technology. 2018).**

ჩემი რჩევაა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები დეტალურად იქნეს გაანალიზებული სკოლის ფსიქოლოგის მიერ თითოეული მოსწავლის მიმართ და ის მისი ყოველდღიური სამოქმედო გეგმა უნდა გახდეს.

**ნუგზარ ალექსიძე,**
პროფესორი

## 15 წლის მოზარდმა მასწავლებელი და მოსწავლე მოკლა

**ბელარუსის ქალაქ სტოლბცში 15 წლის მოზარდმა მასწავლებელი და ერთი მოსწავლე დანით მოკლა.**

**შემთხვევა ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში დილით მოხდა. არსებული ინფორმაციით, სავარაუდოდ დანაშაული შელაპარაკებების შედეგად მოხდა. მოზარდმა კიდევ ორი მოსწავლე დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. არასრულწლოვანი დამნაშავე სამართალდამცველებმა მალევე დააკავეს. დაჭრილები საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი.**



# დიადიდან – საცოდავამდე!

*ძალიან ნიშანდობლივი რამ არის ეს ვეება ყბადაღებული ველოსიპედი თბილისის ცენტრში! ხომ ველოსიპედია და ხომ თითქოს მოძრაობის სიმბოლო უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში იგი სწორედაც საპირისპიროს — უძრაობას გამოხატავს. ორი ბორბალი, სხვადასხვა მხარეს მიმართული ორი საჭე თავ-თავიანთი ზანზალაკებით, ასევე სხვადასხვა მხარეს მიმართული ორი დასაჯდომი და ამავდროულად — პედლების ერთადერთი წყვილი სრულიად შეუძლებელს ხდის მის დაძვრას ადგილიდან. წარმოიდგინეთ, გადააჯდა ველოსიპედს ორი რაგინდ მომზადებული და მოტივირებული ჯეელი და ველოსიპედის დაძვრა მოინდომა. ჯერ პედლების ერთადერთი წყვილის გამო ატყდება დიდი ამბავი და მერე — თუ რომელიმემ გაიმარჯვა და პედლები ფეხქვეშ მოიგდო, — მეორე ან ზედმეტი ტვირთი გახდება, ან ბორბლებში ჯოხის გათხრის მეტს არაფერს გაუკეთებს იმ პირველს. ხოლო თუ მოხდა ისე, რომ რაღაც ეტაპზე ორდასაჯდომიან და ორსაჭიან ველოსიპედს მხოლოდ ერთი ჯეელი დაეპატრონა, ის მეორე დასაჯდომი და მეორე საჭე ათასობით სხვა ჯეელს მოსვენებას არ მისცემს, სანამ რომელიმე მათგანი არ დაეუფლება მათ, თავს მთავარ ოპოზიციურ ძალად ან რაღაც ამის მსგავსად არ გამოაცხადებს და ყველა ღონეს არ იხმარს, რომ ველოსიპედი კვლავ ერთ ადგილს მიაჯაჭვოს სამუდამოდ.*



რენეგატი? სააკაძის პიროვნების შესახებ დასმულ ამ კითხვებზე ერთნაირი პასუხი ისეთ დარბაისელ ისტორიკოსებსაც კი არ ჰქონიათ, როგორებიც ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი იყვნენ და რა უნდა მოსთხოვო ფიცხ პოლიტიკოსებსა თუ აჟიტირებულ და ანგაჟირებულ ჟურნალისტებს სააკაშვილის შეფასებისას?

მეორე მხრივ, როგორ გინდა ერთმნიშვნელოვნად შეაფასო 400 წლის წინანდელი ისტორიული პიროვნება, როცა ჩვენი თანამედროვის შეფასებაში ვერ შევთანხმებულვართ?!

აკი დღემდე ვერც შეგვიფასებია! აკი დღემდე ორად არის გაყოფილი საზოგადოებრივი აზრი დიდი მოურავის შესახებ. და არა მარტო საზოგადოებრივი აზრი — ორ ბანაკად გაყოფილი მკვლევარები, სააკაძის ადვოკატებიც და სააკაძის კრიტიკოსებიც კვლავაც ახალ-ახალ არგუმენტებს ეძებენ (და პოულობენ კიდეც!) ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების გასაძლიერებლად.

რომ არა სტალინი, რომ არა ამგვარი საკამათო გმირის კონიუნქტურული საჭიროება, ვინ იცის, საით წავიდოდა და სად მივიდოდა ისტორიკოსთა დისკუსია სააკაძის პიროვნებისა და საქართველოს ისტორიაში მისი როლის შესახებ.

# სააკაშვილიდან ანუ სააკაძიდან

მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, ვინ არის ამ „ქანდაკების“ ავტორი, არც ის ვიცი, თუმცა კი მაინტერესებს, ვინ არის მისი ინსპირატორი თუ კონკრეტული შემკვეთი, მაგრამ აშკარაა, რომ არაფერი ისე არ გამოხატავს თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობას, როგორც სააკაშვილის პრეზიდენტობისას დადგმული ეს უძრავი ველოსიპედი. არც ის ვიცი, დამთხვევა იყო, თუ შემთხვევით მოხდა, მაგრამ ფაქტია, რომ ველოსიპედის ძეგლის დადგმისთანავე ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ორად გაყოფილი საქართველო კიდევ უფრო გაიმიჯნა და ქვეყნის ორად გაყოფა ერთი მხრივ ორხელისუფლებიანობით თუ კოჰაბიტაციით გაფორმდა და მეორე მხრივ ორდედაქალაქიანობაში აირეკლა. თბილისის არქიტექტურულ-ესთეტიკურ სახეში არა, მაგრამ ველოსიპედის ძეგლი ორგანულად ჩაიწერა საქართველოს თანამედროვე ისტორიის საერთო სურათში, იმდენად, რომ არათუ მისი აღება მოიწადინა ქალაქის თუ ქვეყნის რომელიმე ხელისუფლებამ, თანდათანობით თბილისის ერთგვარ ლენდმარკადაც კი იქცა, ვისთვის კარიკატურულ, ვისთვის კი სიმბოლურ ნიშანსვეტად. თბილისში ჩამოსული ყოველი მეორე ტურისტი ამ ველოსიპედის ფონზე იღებს მთავარ სამახსოვრო ფოტოს.

სააკაშვილისეული ოთხი ცივილიზაციისა რა მოგახსენოთ და, შეიძლება ავტორმა ეს ველოსიპედი თბილისის, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაჯვარედინის ერთგვარ სახე-სიმბოლოდ ჩაიფიქრა, მაგრამ ველოსიპედის ძეგლი, ალბათ მისი ფორმის მეტისმეტი რეალისტურობის გამო, საზოგადოების თვალში უფრო კონკრეტულ ამბებს დაუკავშირდა.

არა, ექსპროპრიატორ კამოს არ ვგულისხმობ, რომელიც ველოსიპედის ძეგლის დადგმამდე 90 წლის წინათ სწორედ ამ ადგილებში დაიღუპა ველოსიპედზე ამხედრებული.

არც ექსპერიმენტატორ სააკაშვილს, რომელიც ძეგლის დადგმიდან ერთ წელიწადში ანტალიაში ველოსიპედით სეირნობისას გვარიანად დაიმტვრა, თუმცა გადარჩა და ამის აღსანიშნავად მისმა მომხრეებმა თუ მოწინააღმდეგეებმა სწორედ ამ ორსაჭიან ველოსიპედთან მიიტანეს ცოცხალი ყვავილები.

**ველოსიპედის თბილისურ ძეგლში გაცხადდა თანამედროვე საქართველოს გაორება. ახლა დამოუკიდებლობადაბრუნებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის წინასწარმეტყველება, ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა მეორე პრეზიდენტის ფუჭი მცდელობანი, გამართლდა მესამე პრეზიდენტის ყველაზე ოპტიმისტური იმედები, მეოთხე კი ყველაფერს დუშეთიდან უყურებდა და ჩხირი ჩხირზე არ დაუკარებია ქვეყნის გარღვეული ქსოვილის დასაკემსად. მეხუთეზე ჯერ ვერაფერს ვიტყვით, თუმცა ისე ჩანს, რომ ველოსიპედის ძეგლი მის პოლიტიკურ ესთეტიკაშიც კარგად ჯდება, იმის მიუხედავად, რომ კონსტრუქციის ავტორს ამ ველოსიპედზე ქალის წამოსკუპების შესაძლებლობა მაინცდამაინც არ გაუთვალისწინებია.**

და მაინც, ეს ველოსიპედი უწინარესად მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება და მის ერთ საჭეს ჯერ ისევ სააკაშვილი უზის, იმის მიუხედავად, სად არის თავად იგი — ანტალიაში, კიევში, ოდესაში, ამსტერდამში, ჩიკაგოსა თუ ლიეჟში.

იმ დღეს იგი სწორედაც ლიეჟში იყო, ბელგიაში, სადაც, როგორც გვიკიჟინებდნენ, ქართველ ემიგრანტთა დიდი ფორუმი გაიმართა. ემიგრანტ სააკაშვილის ცხოველი დაინტერესება თავის გადასარჩენად გახიზნული ქართული ემიგრაციით შემთხვევითი არ არის. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში გამოჩნდა, რომ ხმის უფლების მქონე ქართველმა ემიგრანტებმა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მხარი არ დაუჭირეს სალომე ზურაბიშვილს, რომელიც სწორედ ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი გახლავთ. მართალია, სალომე ზურაბიშვილი თავად ქართველ ემიგრანტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ემიგრაციაში დაიბადა და რომელთაგან ცოტას თუ აქვს საქართველოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ახალი ტალღის ემიგრანტთა დიდი ნაწილის ასეთი გაშმაგებული დაპირისპირება ძირძველ ემიგრანტთან მაინც სხვა, უფრო სიღრმისეული დასკვნებისაკენ გვიბიძგებს.

**ეს იყო არჩევნები, სადაც საქართველო, როგორც არასდროს, ზუსტად შუაზე გაიყო. არა, ეს არ ყოფილა შუაზე გაყოფა ზურაბიშვილისა თუ ვაშაძის მომხრეებად, ივანიშვილის მომხრეებად თუ მოწინააღმდეგეებად, ხელისუფლებისა თუ გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერებად. საქართველო ისევ სააკაშვილის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გაიყო! ასეა, სულ მცირე, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში. ვინც არ უნდა ყოფილიყო სალომე ზურაბიშვილის ადგილას, სააკაშვილის მოწინააღმდეგენი მას დაუჭერდნენ მხარს, მეორე მხრივ კი — ვინც არ უნდა დაესახელებინა ეგრეთწოდებულ გაერთიანებულ ოპოზიციას პრეზიდენტობის კანდიდატად, სააკაშვილის მომხრეები სწორედ მას მისცემდნენ ხმას. ეს იყო საარჩევნო ომი სააკაშვილის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.**

იმის მიუხედავად, რომ მას მერე უკვე მეორე პრეზიდენტი ავირჩიეთ, გინდა-არგინდა სააკაშვილი კვლავ რჩება ერთ-ერთი ყველაზე მთავარ პოლიტიკურ ფიგურად საქართველოში. შემთხვევითი არ არის, რომ ოდესღაც გამარჯვებული და დღეს უკვე დამარცხებული ხალხის ტელევიზია მას დღემდე მესამე პრეზიდენტს უწოდებს და არასოდეს ექსპრეზიდენტად არ მოუხსენიებია. კი, სიტყვებითა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებით სააკაშვილი საქართველომ თითქოს პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, ექსპერტები, პოლიტოლოგები თუ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები დღეს მოქალაქეობის არმქონე სააკაშვილს მაოხრებელ გზირად, საერთაშორისო მაწანწალად და პოლიტიკურ ბომჟადაც მოიხსენიებენ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს „საერთაშორისო მაწანწალა“ ისეთსავე გავლენას ახდენს საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორიც თავის დროზე ჩარლი ჩაპლინის მაწანწალამ მოახდინა მსოფლიო კინოს განვითარებაზე. გინდ „მაოხრებელი გზირი“ უწოდეთ მას და გინდ — „ქვეყნის მაშენებელი“, მიხეილ სააკაშვილი კიდევ დიდხანს იქნება ყველაზე აქტუალური ფიგურა ქართველთათვის, უკრაინასა თუ ჰოლანდიაში კი არა, სულაც ბურკინაფასოში რომ დაიდოს ბინა.

**ახლა ვერ ვიხსენებ, ვინ თქვა პირველად, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს ყველაზე უკეთ სხვა ეპითეტი შეეფერება — პოლიტიკური ცხოველი. და ეს ისეთი ცხოველია, ერთ თავს რომ მოაჭრი, ორი ამოუვა,**



**უკრაინიდან რომ პოლონეთში გააძევებ, ბელგიიდან, ამერიკიდან ან ჰოლანდიიდან სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მოგადგება, ბრალს რომ დასდებ და დაუსწრებლად პატიმრობასაც მიუსჯი, ჯერ მაღალ-მაღალ თანამდებობებს დაიკავებს სხვა ქვეყანაში და მერე კვირაში რამდენჯერმე სეფე-სიტყვებით დაგმოძღვრავს გამარჯვებული/დამარცხებული ხალხის ტელეეკრანიდან.**

**აგერ, ამას წინათაც, ლიეჟის შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, მთელი სატელევიზიო საღამო დაუთმეს და იმანაც საქართველოში თავისი შემოსვლა დააანონსა ქართველ ემიგრანტთა არმიასთან და 10-მილიარდიან „ინვესტიციასთან“ ერთად. კი უმტკიცეს აქედან, როგორ უნდა შემოხვიდე, აკი გაერთიანებულ ოპოზიციას მაინცდამაინც არ ენიაზება შენი დაბრუნებაო, მაგრამ პოლიტიკური ცხოველი რისი პოლიტიკური ცხოველია, თუ ასეთი წვრილმანები რამედ ჩააგდო.**

აბა, ის იყო პოლიტიკური ცხოველი, თუ იყო!

**გიორგი სააკაძეზე მოგახსენებთ. ვისაც რეინკარნაციისა სწამს, მიხეილ სააკაშვილი სულაც გიორგი სააკაძის რეინკარნაციად შეუძლია წარმოიდგინოს.**

თუმცა თავად დავით აღმაშენებელს ეზომებ(ოდ)ა, საქართველოს მესამე პრეზიდენტი თავისი აქამომდელი პოლიტიკური ბიოგრაფიითა თუ ბედით ქართველ ისტორიულ პირთაგან ყველაზე მეტად ალბათ სწორედ გიორგი სააკაძეს ენათესავება. და გვარების მსგავსება თუ იდენტურობა აქ არაფერ შუაშია, უფრო ზუსტად — უკანა პლანზე გადადის.

ქართული პოლიტიკის, საქართველოს ისტორიის შემოქმედთაგან, ზოგადად ქართველ პოლიტიკოსთაგან, თვით სტალინის ჩათვლით, არავის ღირსება-ნაკლოვანებებზე არ ყოფილა ისეთი ცხარე და დაუსრულებელი კამათი, როგორიც გიორგი სააკაძის შესახებ. შეფასებები სრულიად რადიკალურია: გმირია თუ მოღალატე? პატრიოტია თუ

**ერთიც არის: სააკაძის ფენომენი არ შეიქმნებოდა, რომ არა მის თანამედროვე მმართველთა — მეფეთა და კარისკაცთა — შეცდომები თუ პოლიტიკური უმწიფარობა, ერთი მხრივ, და დიდგვაროვან და შეძლებულ ფეოდალთა თავგასულობა თუ ფეხებზემკიდიაობა, მეორე მხრივ.**

**ის კი არ ვიცი, ასე ეშინოდათ თუ არა სპარსეთსა თუ ოსმალეთში გადახვეწილი სააკაძისა ქართველ მეფეებს და მათ ერთგულ ფეოდალებს, როგორც დღევანდელ ჩვენს ხელისუფალთ და მათ მხარდამჭერთ ეშინიათ გაემიგრანტებული თუ გამოემიგრანტებული სააკაშვილისა. მეჩვენება, რომ ლიეჟურ შეხვედრას სააკაშვილის მოწინააღმდეგეებმა უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, ვიდრე სააკაშვილის მომხრეებმა ან თავად სააკაშვილმა.**

განა რა მოხდა ამისთანა?! — ლიეჟში მედიცინის საკითხებთან დაკავშირებული რაღაც ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ყველაზე ცნობილი ქართველი ემიგრანტიც დაესწრო და სიტყვითაც მიმართა ნაკლებად ცნობილ ემიგრანტებს, თან — დარბაზიდანვე, ისე რომ, სცენაზეც კი არ ასულა. სააკაშვილი და სცენაზე არასვლა?! ეტყობა, შეხვედრის ლეგალური ფორმატით და დარბაზის არენდის პირობებით სულაც არ ყოფილა გათვალისწინებული პრეზიდენტყოფილის შეხვედრა ემიგრაციასთან. იგი ასეთად გამარჯვებულიჰ დამარცხებული ხალხის ტელევიზიამ წარმოაჩინა.

მეტიც: ჩვენს ისტერიულ მედიაში ქართველ ემიგრანტთა ეს შეხვედრა, ვენესუელის ამასწინანდელ ამბებთანაც დააკავშირეს და არ ვიცი — სახალისოდ, არ ვიცი — ხალხის დასაშინებლად, ირანის რევოლუციის 40 წლისთავიც ახსენეს, აქაოდა, აიათოლა ჰომეინი თეირანში სწორედ 1979 წლის თებერვალში დაბრუნდა ემიგრაციიდანო. თუ ასეა, კუბის რევოლუციის 60 წლისთავის გახსენებაც შეიძლება: რამდენიმე წლით ადრე მექსიკიდან კუბაზე დაბრუნებულმა 82-მა ემიგრანტმა ფიდელ კასტროსა და ერნესტო ჩე გევარას მეთაურობით 1959 წლის იანვარში ბატისტა ქვეყნიდან გააქცია და ძალაუფლება ხელში აიღო.

არ ვიცი, საქართველოშიც გამეორდება თუ არა რომელიმე ეს ისტორია, თუნდაც როგორც ფარსი. არც ის ვიცი, შევა თუ არა, და თუ შევა, როგორ შევა, ბელგიური ქალაქი ლიეჟი საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ფაქტია, რომ 2019 წლის 10 თებერვლიდან მოყოლებული, ლიეჟი მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში და ჩვენს მედიაში ხსენების სიხშირით ალბათ დიდად გაასწრებს არა მარტო სოხუმს, ცხინვალს, გორს, ლაზიკასა თუ კორცხელს, არამედ თბილისსაც და რუსთავსაც — როგორც პირველს, ისე მეორეს. სტრასბურგს ხომ — თავისთავად.

**პლატონ იოსელიანმა გიორგი სააკაძე ალკიბიადეს შეადარა** — სოკრატესა და პერიკლეს ალ-

# სააკაძემდე, სააკაშვილამდე

ზრდილს, ათენელ პოლიტიკოსსა და სტრატეგოსს, რომელმაც ჯერ ათენს გაამარჯვებინა სპარტაზე, მერე სპარტას – ათენზე და ბოლოს, ორივესგან დევნილი ხან თრაკიას აფარებდა თავს და ხან – სპარსეთს, სადაც იგი სიკვდილით დასაჯეს.

**ვახუშტის დახასიათებით, გიორგი სააკაძე ყოფილა „მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში, მცბიერი, მჩურჩნელი და უნდო“.** უშიშისა რა მოგახსენოთ და, სააკაძის დარად მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა, შემმართებელი, მცბიერი, მჩუმჩნელი და უნდოა სააკაშვილიც.

ორივე გამორჩეული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. ორივეს უაღრესად ფათერაკიანი ცხოვრება ხვდა წილად. ორივე აღსავსეა უზღვავი ენერგიით. ორივე დარწმუნებულია თავის ისტორიულ მისიაში. ორივე აგრესიულია, ამპარტავანი, პატივმოყვარე, სასტიკი და დაუნდობელი. ორივე ავანტიურისტია, ორივე – პოლიგლოტი და კოსმოპოლიტი. ორივე მიელტვის პირველობას ნებისმიერ ფასად. ორივე მიდრეკილია მაქსიმალიზმისა და რადიკალიზმისკენ. ორივე იმპულსურია – ჯერ აკეთებენ და მერე ფიქრობენ. ფსიქოლოგები, რა თქმა უნდა, უკეთ განმარტავენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ორივე სანგვინიკია და ორივე ექსტრავერტი. ორივეს აქვს რაღაც ბრუტუსისეული – ერთსაც აბრალებენ პოლიტიკურ მკვლელობების პროვოცირებასა თუ მათში თანამონაწილეობას და მეორესაც. კარგა ხანს სახელისუფლებო პირამიდის მწვერვალზე მყოფი, ბოლოს ორივე დევნილად იქცა – ერთსაც მოუწია სამშობლოდან გარდახვეწა და მეორესაც. თანაც ორივ, სულ მცირე, ორგზის დევნილია: სააკაძე – საქართველოდან და ოსმალეთიდან, სააკაშვილი – საქართველოდან და უკრაინიდან.

**გიორგი სააკაძის ფიგურის წინ წამოწევა სტალინს თავისი პოლიტიკური კარიერის ერთგვარ გამართლებად სჭირდებოდა და ამიტომაც დანიშნა საქართველოს ეროვნულ გმირად, ამიტომაც ამჯობინა მიხეილ ჭიაურელის იმ ცნობილი ფილმისთვის ანა ანტონოვსკაიას და მისი შვილის, ბორის ჩორნის პანეგირიკული სცენარი გიორგი ლეონიძის სცენარს, რაკი ეს უკანასკნელი რამდენადმე თავშეკავებული იყო სააკაძის განდიდებაში.**

თუ სააკაძე მიღებული და დაფასებული იყო სპარსეთის შაჰისა თუ ოსმალეთის სულთნის კარზე, სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად აღიარა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ხოლო უკრაინის პრეზიდენტმა სულაც მთავარ რეფორმატორად დანიშნა თავის ქვეყანაში.

თუ ერთი დიდი აჯანყების თავკაცად და მარტყოფის ომის მომგებად მოიაზრება, მეორე ვარდების რევოლუციის სულისჩამდგმელად და ფერადი რევოლუციების ბაირახტრად ითვლება.

თუ ერთი საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლი გმირის შარავანდედით არის შემოსილი, მეორე თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არქიტექტორად არის მონათლული.

თუ გიორგი სააკაძე თბილისის მოურავი და ამირთამირა იყო, 396 წლის შემდეგ სააკაშვილსაც მოუხდა თბილისის თავკაცობა, ვითარცა ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს.

თუ სააკაძემ პრაგმატული მოსაზრებით მამაპაპეულ რწმენაზე თქვა უარი და ქრისტიანობა უარყო, სააკაშვილმა ასეთივე მოსაზრებით უარყო იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელმაც იგი ათი წლის ადრე თითქმის 97 პროცენტით აირჩია და რომელსაც იგი მორჭმით მართავდა თავის ჭკუაზე, როგორც პრეზიდენტი.

თუ ლტოლვილი სააკაძე ოსმალეთის ქალაქ კონიის ბეგლარბეგად დანიშნა ოსმალეთის სულთანმა მურად მეოთხემ, ლტოლვილ სააკაშვილს უკრაინის ქალაქ ოდესის გუბერნატორობა უბოძა ამ ქვეყნის პრეზიდანტმა პეტრო პოროშენკომ. თუმცა არც კონიელები და არც ოდესელები ამით არ გაბედნიერებულან. პირიქით – სააკაძის ბაგლარბეგობა ალეპოში თავის მოკვეთით დასრულდა, სააკაშვილის გუბერნატორობა კი – ქვეყნიდან გაძევებითა და უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევით.

თუ მე-20 საუკუნის დასაწყისი სააკაძის სახალხო, ეგრეთწოდებული ლიტერატურული გასამართლებებით იყო დახუნძლული, 21-ე საუკუნის დასაწყისი სააკაშვილის არალიტერატურული ანუ ნამდვილი გასამართლებებით(აც) შევა ისტორიაში. იგულისხმება პრეზიდენტყოფილისა და გუბერნატორყოფილის სისხლისსამართლებლივი დევნა საქართველოსა თუ უკრაინაში.

თუმცა ნამდვილი „გასამართლება“ არც დიდ მოურავს ასცდენია. და თუ სააკაძეს თავის დროზე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, სააკაშვილს დემოკრატიული საქართველოს სასამართლომ დაუსწრებლად მისჯილი პატიმრობა აკმარა.

რომ არა 400-წლიანი სხვაობა აღმოსავლურ ტირანიასა და დასავლურ დემოკრატიას შორის, რომ არა 400-წლიანი სხვაობა დესპოტის ერთპიროვნულ მმართველობასა და დემოკრატიულ სასამართლოს შორის, იქნებ ყველაფერი პირიქით ყოფილიყო.

400 წლის ხსენებაზე ლიეჟის მთავარი ღირსშესანიშნაობა გამახსენდა – 400-საფეხურიანი ქუჩა, ყველაზე მრავალსაფეხურიანი კიბე მსოფლიოში. არ ვიცი, ნახა თუ არა ეს კიბე მოსკოვიდან



ლიეჟში ჩასულმა ემიგრანტმა ემზარ ბოლქვაძემ, მაგრამ თავის პატარა სატელევიზიო ინტერვიუში იმდღევანდელ შეკრებაზე ჩამოყალიბებული ხუთპუნქტიანი გეგმა მან სწორედ მიზნისაკენ ასასვლელ კიბეს შეადარა. თუმცა ეს გეგმა ყველა საინფორმაციო საშუალებამ – სააკაშვილის მომხრემაც და მოწინააღმდეგეებმაც – საგულდაგულოდ დაგვიმალა. ყოველ შემთხვევაში, ამ პამფლეტის წერისას მე მის კვალს ვერსად მივაგენი. პირდაპირ ჩართვაში პრეზიდენტყოფილმა მხოლოდ ორი პუნქტი გაგვიმხილა – ყველა ქართველი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს და არჩევნები თუ რეფერენდუმები ელექტრონულად უნდა ჩავატაროთო.

დიახ, მოსკოველი ემიგრანტი ბოლქვაძე სულ სხვა კიბეზე ლაპარაკობდა, ხოლო ის 400-საფეხურიანი კიბე-ქუჩა ისეთივე ღირსშესანიშნაობაა ლიეჟისთვის, როგორიც ეიფელის კოშკი პარიზისთვის, თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკისთვის და... ველოსიპედის ძეგლი თბილისისთვის!

თუმცა არა! ვაჭარბებ. ვაჭარებ კი არა, ვხუმრობ. ეს კიბე მართლა ღირსშესანიშნაობაა. ეიფელის კოშკიც მართლა ღირსშესანიშნაობაა და თავისუფლების ქანდაკებაც. თბილისური ველოსიპედი კი უღირსშესანიშნაობაა, სირცხვილი და თავის მოჭრა.

**თუ სააკაძეს ბოლოს თავი მოაჭრეს, სააკაშვილმა, შეიძლება ითქვას, თვითონვე არაერთგზის მოიჭრა თავი. ამის მაგალითად ყველაზე ხშირად გორში მიწაზე ფორთხვის, ტელეკამერის წინ ჰალსტუხის ღეჭვისა და სახურავებზე სირბილის მაგალითები მოჰყავთ მის ოპონენტებს.**

**თუ სააკაძე უცხო ქვეყნის მრავალათასიან ჯარს შემოუძღვა საქართველოში, სააკაშვილი ქართველ ემიგრანტთა შლეიფით, ჩრდილოვანი კაბინეტით, ციფრული დემოკრატიით და მრავალმილიარდიანი ინვესტიციით აპირებს შემოსვლას თავის სამშობლოში. ხოლო დღეს რომ დიდი ფულით უფრო ადვილია ნებისმიერი ომის მოგება, ვიდრე ოთხი საუკუნის წინათ კბილებამდე შეიარაღებული არმიით, ეტყობა, დიდ ფულზე დაფუძნებულმა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ სხვაზე კარგად უწყის.**

თუმცა, რამდენადაც ვიცი, წინასწარ დაანონსებული ამ „ინვესიტიციაზე“ პრეზიდენტყოფილს ლიეჟში სიტყვა აღარ დაუძრავს. არც საქართველოში შემოსვლის კონკრეტული გეგმა დაუსახავს და არც ის 72 საათი უხსენებია, რომელიც თითქოს საკმარისი იქნებოდა მისთვის, რომ დღევანდელი ხელისუფლება ცოცხებით გაეხვეტა საქართველოდან. აკი შეუძახეს კიდეც დარბაზში შეკრებილებმა, ჯერ მაგისთვის მზად არა ვართო.

მზადყოფნა კი არა, დარბაზში მეჩხრად მსხდომი მომხრეები მათ კუმირს იმ 400-საფეხურიან კიბეზე რომ ჩაემწკრივებინა, თითო საფეხურზე თითო ადამიანი მოვიდოდა, მეტი არა.

ზემოთ ნახსენებ ომზე და კბილებამდე შეიარაღებაზე გამახსენდა: ალბათ უბრალო დამთხვევაა, მაგრამ თანამედროვე ლიეჟი იარაღის ისეთივე ტრადიციული ცენტრია მსოფლიოსთვის, როგორიც თავის დროზე ტულა იყო საბჭოთა კავშირში. ოდესღაც ცნობილმა ამერიკელმა იარაღმეიკერმა ჯონ ბრაუნინგმა სპეციალურად შეისწავლა ფრანგული, რომ ლიეჟში ეცხოვრა და იმ თავის ცნობილი ავტომატური თუ ნახევრადავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის შექმნაზე ემუშავა. მისი 128 პატენტიდან ნახევარზე მეტი სწორედ ლიეჟზე მოდის.

სხვათა შორის, ლიეჟი ცეცხლსასროლი იარაღის მსოფლიო დედაქალაქად ჯერ კიდევ მაშინ იქცა, როცა გიორგი სააკაძე მიმოდიოდა ქართულ-სპარსულ-ოსმალურ პოლიტიკურ სცენაზე, როცა იგი, დღევანდელი სააკაშვილისა არ იყოს, ზოგისთვის სანატრელი გამხდარიყო თავის სამშობლოში, ზოგს კი მისი სახელის ხსენებაზე პანიკური შიში იპყრობდა.

ხოლო საქართველოს დიახაც შეიარაღებული ხალხი სჭირდება! ეს მე არ მითქვამს, – არავინ ჩამითვალოს მილიტარისტულ მოწოდებად! – ზუსტად 110 წლის წინათ თქვა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც, სხვათა შორის, სადოქტორო დისერტაცია სწორედ განიარაღების საკითხებზე დაიცვა. აი, მისი სიტყვები:

**„ეღირსება კი ოდესმე ჩვენი უბედური ქვეყანა, რომ მის საქმეთა სათავეში, მისი ბედის მეთაურად, მისი საჭიროების გამომხატველად, მისი ენერგიის წარმმართველად თანამედროვე ცოდნით შეიარაღებული წინამძღოლები ჰყავდეს?“**

მაგრამ, ეტყობა, ეს კითხვა სულაც არ აწუხებს საქართველოს განათლების, იმედების, ოცნების, სიზმრებისა და სხვა დანარჩენის სამინისტროს. მრავალი წელია, იგი სულ სხვა წარმოდგენისაა შეიარაღებაზე, კერძოდ – ცოდნით შეიარაღებაზე. თუმცა ეს ბედოვლათი სამინისტრო აქ რა სახსენებელი იყო! სჯობს, ისევ სააკაძესა და სააკაშვილს დავუბრუნდეთ.

ისტორიკოსთა და დამკვირვებელთა უმრავლესობის აზრით, როგორც ერთი, ისე მეორე ერთგულებდნენ და ერთგულებენ პრინციპს, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, თუმცა დღემდე არ წყდება კამათი გიორგი სააკაძის მიზნის რაობაზე და არც ის არის დანამდვილებით გარკვეული, რა მიზნებს ემსახურებ(ოდ)ა სააკაშვილი.

გიორგი სააკაძეს აბრალებენ საქართველოში შაჰ-აბასის პირველი ლაშქრობის პროვოცირებას, ისევე როგორც მიხეილ სააკაშვილს – რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის პროვოცირებას ოთხი საუკუნის შემდეგ, 2008 წელს.

მე დიდძალი მასალა მაქვს შეკრებილი საქართველოს ისტორიის სწორედ ამ თითქმის 400-წლიან პერიოდზე, რომელსაც სააკაძე-სააკაშვილების მსგავსი პირველკაცების პარალელური ბიოგრაფიებით არის სავსე. ვინ სპარსელებს შემოუძღვა საქართველოში, ვინ – ოსმალებს, ვინ – გერმანელებსა თუ ინგლისელებს, ვინ – რუსებს, სომხებს, ბურებსა თუ ინდოხატაელებს. ემიგრანტების ლაშქრით შემოსვლა საქართველოში პირველი იქნება. ჩვენი ბოლო ომიდან მოყოლებული, რამდენჯერმე ჩავუჯექი, მაგრამ სააკაძე-სააკაშვილთა ამბები ვერა და ვერ ვაქციე წიგნად. ვინ იცის, ეს პარალელური ისტორია იქნებ სულაც სხვისი დასაწერია. ვინ იცის, საწიგნედ იქნებ უფრო ბაზალე-



თის ომის თარიღიდან – 1626 წლიდან გადათვლილი 4-საუკუნოვანი პერიოდი ჯობდეს, რაკი საბოლოოდ სწორედ მაშინ გამოიკვეთა გიორგი სააკაძის სახე და სააკაშვილიც 2026 წლისთვის ალბათ უფრო სრულად გამოიჩენს თავს.

ისტორია მეორდება. მაგრამ მეორდება, რა თქმა უნდა, როგორც ფარსი!

**წარმოიდგინეთ, გამოდგა გიორგი სააკაძე რომელიმე „ალ ჯაზირას“ ეკრანიდან და ფერეიდნელებთან კონიაში გამართულ შეხვედრაზე გვიამბობს არაკებს. თან მათთან ერთად ხვალ დილას თუ არა, ზეგ საღამოს მაინც საქართველოში შემოსვლით და ქვეყნის დალაგებით იმუქრება.**

**სწორედ ამგვარ აბსურდზე ვფიქრობდი ამას წინათ შინისკენ მიმავალი, როცა სააკაძის მოედანზე გაუვალ საცობში აღმოვჩნდი. უკვე ბინდდებოდა, თუმცა ღამის განათება ჯერ არ ჩაერთოთ და მოედნის ცენტრში მაღალ პოსტამენტზე აცეკვებული ცხენი და მისი მრისხანე მხედარი ნელ-ნელა კარგავდნენ მკაფიო კონტურებს. რაღაც მომენტში ცხადად დავინახე, რომ მხედარმა ჰალსტუხი ჯერ თითქოს ხელში მოჭმუჭნა და მერე სულაც ღეჭვა დაუწყო. უფრო მერე, როცა კიდევ მეტად დაბინდდა, საცობს კი არა და არ დაადგა საშველი, მომეჩვენა, რომ ჰალსტუხიანი მხედარი თავისი ავად გადმოკარკლული თვალებით მის იმ შორეულ მემკვიდრედ იქცა, ტელეეკრანიდან რომ ქადაგებდა – ჩიკაგოში, ლიეჟში, კონიასა თუ ისპაჰანში მყოფი. კიდევ უფრო მერე მომეჩვენა, რომ ვეება ბრინჯაოს ხმალი ჰალსტუხიანი მხედრის ხელში ცოცხად გარდაისახა, რომლითაც მისი მემკვიდრე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების საქართველოდან აღგვას დაგვპირდა. სულ ბოლოს კი თავად ცხენმაც საოცარი ტრანსფორმაცია განიცადა და ორსაჭიანი ველოსიპედის ფორმა მიიღო.**

ხოლო ველოსიპედის ამბავი იხ. ზემოთ.

ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს ველოსიპედის ძეგლთან ერთად ესეც მოსახსნელი გაგვიხდეს-მეთქი, – გავიფიქრე, – როგორც ამ ცოტა ხნის წინათ ორჯონიკიძის და მისთანათა ძეგლები მოვისროლეთ. რას არ წარმოიდგენ საცობში გაჩხერილი ადამიანი!

მერე ისევ ლიეჟის 400-საფეხურიანი კიბე გამახსენდა და მომეჩვენა, რომ მის ძირში სააკაშვილი იდგა, თავში კი – სააკაძე. ან პირიქით. ერთმანეთისაკენ ადი-ჩადიოდნენ. თითქოს ადგილები უნდა გაეცვალათ. ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ეს იყო მხოლოდ – სააკაშვილს ლამაზი, ცისფერი ბოტასები ეცვა. ლიეჟში შეკრებილ ქართველებს – ემიგრანტებსა თუ არაემიგრანტებს – კონგრესპალასის გარეთ არ გაუხედავთ, თორემ ამ კიბისთვის რომ შეევლოთ თვალი, იქნებ მათაც დაენახათ ოთხასი წლით და ოთხასი საფეხურით ერთმანეთს დაშორებული ეს ორი მხნე, ახოვანი, შემმართებელი, მცბიერი, მჩურჩნელი და უნდო ადამიანი.

რაც შეეხება ისტორიული თუ ონომასტიკური პარალელების სიზუსტესა და კორექტულობას, აქ დიდი არჩევანია – დიადიდან საცოდავამდე, გმირიდან რენეგატამდე, კოსმოპოლიტიდან მამულიშვილამდე, ერთგულებიდან ორგულობამდე, თავდადებიდან ღალატამდე. ვისაც რომელი სურს, ის აირჩიოს. სააკაძე ამის საშუალებას იძლევა. სააკაშვილიც. მათ შეფასებაში ორად გაყოფილი ქართველობაც.

**პაატა ნაცვლიშვილი,**

11 იანვარი, 2019

# ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ყველაზე ძლევამოსილი მეფის დავით ალმაშენებლის გამეფებიდან 930 წლის ალსანიშნავად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოფენა იხსნება, რომლისთვისაც საცავებიდან გამოაქვთ ფონდში არსებული ის ხელნაწერები, რომელიც საქართველოს უდიდეს მეფესთან არის დაკავშირებული.

**„ეს გამოფენა არის გამოფენა, რომელიც**





**უნდა ნახო. ეს არის მათთვის, ვისაც სამშობლო უყვარს მითების დონეზე — არადა, კარგია, რომ უყვარდეს რეალური სამშობლო; ეს არის მათთვისაც, ვისაც არ უყვარს სამშობლო, თუმცა მეეჭვება, რომ არ უყვარდეს, უბრალოდ, არ იცნობს და შეუძლია მოვიდეს და გაიცნოს; და ეს მათთვისაცაა, ვისაც უყვარს სიძველე, ხელოვნება, ფერები და ტექსტები“,** — გვითხრა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მისულებს **ნესტან ბაგაურმა,** ცენტრის საგამოფენო და საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელმა.

გამოფენის ფარგლებში, საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება, იხილოს უნიკალური ხელნაწერები: გელათის ოქრომელნით მოხატული ოთხთავი, რომელიც თითქმის არასოდეს ტოვებს ხელნაწერთა საცავს, უშუალოდ დავითთან და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ხელნაწერები — „გალობანი სინანულისანი“, „რუის-ურბნისის ძეგლიწერა“, ასევე „ქართლის ცხოვრების“ ორი, მარიამისეული და ანა დედოფლისეული ხელნაწერი და მეთხუთმეტე საუკუნის ის სიგელი, სადაც დავით IV პირველად იხსენიება, როგორც აღმაშენებელი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ ხელნაწერების და მათში დაცული ამბების მიმართ ინტერესის გასაღვიძებლად მნიშვნელოვანია, ის საინტერესო ფორმით მიეწოდოს ფართო საზოგადოებას, მათ შორის ბავშვებს, მოსწავლეებს და სტუდენტებს და არ დარჩეს მხოლოდ ვიწრო, პროფესიულ წრეებს შორის მსჯელობის საგნად, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში მიზანმიმართულად ხდებოდა.

**„ჩვენს ცენტრში არის ათი ათასამდე ხელნაწერი წიგნი, 40 000-მდე ისტორიული საბუთი. ყველა კითხვაზე, რომელიც შეიძლება დღეს გვქონდეს, ხშირად პასუხი ამ ხელნაწერებშია. ეს არის მეცნიერების სათავეები, მინერალოგიის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიული აზროვნების, მაგალითად, დღეს მოდური და მნიშვნელოვანი პრობლემა, საკმაოდ ხშირად ფიგურირებს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული თემები ხელნაწერებში. როგორ უვლიდნენ, როგორ რეგულირდებოდა წარსულში ეს საკითხები. ხშირად ვამბობთ, რომ ტოლერანტულნი ვართ და მხოლოდ ის ვიცით, რომ დავითი მეჩეთში ლოცულობდა. არადა, ხელნაწერ მემკვიდრეობაში ბევრად მეტი არგუმენტია. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს ჩვენი აზროვნების კარდიოგრამაა, აზროვნების წესის ისტორია, რაც ქმნის მერე ყველაფერ დანარჩენს: მატერიალურ კულტურას, არქიტექტურას, ნაქარგობას, ჭედურობას, ამ ყველაფრის საფუძველი არის ხელნაწერ მემკვიდრეობაში, რომელიც ჩვენ გვაქვს უწყვეტი. მსოფლიოში, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი კულტურა და ერი დაიკვეხნის მსგავსი მემკვიდრეობით.**

**დღეს, როდესაც პრაგმატულია ახალგაზრდების არჩევანი, ჩნდება საშიშროება, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში გვქონდეს წყვეტა. შესაძლოა, აღარ გვყავდნენ პროფესიონალი ისტორიკოსები, პროფესიონალი ფილოლოგი, ტექსტოლოგი და ამიტომ საჭიროა სტუდენტთან კომუნიკაცია ახლებური ენით, ახალი აღმოჩენებით საუბარი, რომ მათ სურვილი გაუჩნდეთ, შემდგომი პროფესიული ცხოვრება დაუკავშირონ ხელნაწერის კვლევას“,** — ამბობს **ნესტან ბაგაური.**

**ᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ**

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲨᲘ SPOTLIGHT AWARD-ᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ



ASC Awards ოპერატორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენაა, რომელიც წელს ლოს-ანჯელესში 33-ედ გაიმართა. ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოებას წლევანდელ ნომინანტებს შორის მოხვდნენ ისეთი ფილმები და ტელესერიალები, როგორებიცაა Roma, A Star Is Born, Yellowstone, Cold War, The Handmaid's Tale და სხვა. ერთ-ერთ ნომინაციაში Spotlight Award წარდგენილი იყო ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე ზაზა ხალვაშის ფილმისთვის „ნამე“. მის გარდა ამ ნომინაციის ჯილდოსთვის იბრძოდნენ ფილმების Girl lf The Rider ოპერატორები. გამარჯვებული და Spotlight Award-ის მფლობელი სწორედ გიორგი შველიძე გახდა.

დაჯილდოების ცერემონიას პირდაპირ ეთერში არაერთი მაყურებელი ადევნებდა თვალს. წლევანდელი წელი საიუბილეოა, რადგან ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოება 100 წლის იუბილეს ზეიმობს. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც Spotlight Award ქართული ფილმისთვის გაიცემა. 2017 წელს იგივე ჯილდო Gorka Gomez Andreu-მ მიიღო რუსუდან გლურჯიძის ფილმისთვის „სხვისი სახლი“.

◎ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ

# ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲡ ᲯᲐᲑᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲘᲢᲝᲕᲐᲜᲛᲐ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲘᲒᲣᲐᲛ...



ᲒᲐᲖᲔᲗ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2019 წლის 26 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ბატონი ვიქტორ რცხილაძის სტატია **„როგორც გამარჯვებულნი, ასევე მსხვერპლნი“**. სტატია ეხება 1991-92 წლების ცნობილ მოვლენებს.

სტატიაში მრავლადაა მოყვანილი გამოჩენილი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების გამონათქვამები, რისი საშუალებითაც რცხილაძე ცდილობს, ქრისტიანული იდეოლოგიით გაამართლოს ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობა, თუმცა, ჩემი აზრით, საეკლესიო წრეებში მას არა აქვს მტკიცე მართლმადიდებლის ავტორიტეტი.



მოკლედ შევეხოთ 1990-91 წლების მოვლენებს: 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული ეროვნული ხელისუფლების მიზანი იყო რუსეთის გავლენის სფეროდან საქართველოს განთავისუფლება და საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, რაც დსთ-ში გაწევრებაზე უარის თქმით გამოიხატა. ეს მიუღებელი იყო არა მარტო რუსეთისთვის, არამედ დასავლეთ ევროპისა და აშშ-სთვისაც, რადგანაც ეწინააღმდეგებოდა ორმხრივ შეთანხმებას, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირიდან გადიოდა მხოლოდ ბალტიისპირა რესპუბლიკები, დანარჩენი კი რჩებოდა რუსეთის გავლენის ქვეშ.

ამ დროს საქართველოში მოქმედებდა კრიმინალური ოპოზიცია, რომელმაც დაიწყო მოკავშირეების ძებნა საზღვარგარეთ. ამის მაგალითია პრაღის კონფერენცია, სადაც გია ჭანტურიამ ე. შევარდნაძის დავალებით გაიტანა 24-ე რეზოლუცია, რომელშიც ზვიად გამსახურდია გამოყვანილია ,,ეროვნული უმცირესობის“ მჩაგვრელად.

რუსეთი, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ფინანსურ და სამხედრო დახმარებას შეჰპირდა კრიმინალურ ოპოზიციას და თავის აღზრდილ წითელ ინტელიგენციას (სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, რომელმაც თქვა: „ერის ყველაზე დიდი მტერია კოლონიზატორის აღზრდილი ინტელიგენცია“).

ვიქტორ რცხილაძე წერს, რომ ხელისუფლების დამხობა იყო დემოკრატიული რევოლუცია. თუ ეს ასეა, მაშინ რას მივაწეროთ: რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერის გენადი ბურბულისის სატელეფონო საუბრები თ. სიგუასთან, თ. კიტოვანთან, ე. შენგელაიასთან და სხვებთან და რჩევები მათდამი; გ. ბურბულისის მიერ 65 მილიონი დოლარის გამოყოფა გადატრიალებისთვის; გენერალ ბეპაევისა და ადმირალ ბალტინის ბრძოლა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ; 1992 წლის 2 თებერვლის მრავალათასიანი მშვიდობიანი აქციის სასტიკი დარბევა ცირკის მიდამოებთან და ა. შ.

ბატონი ვ. რცხილაძე აღნიშნავს, რომ აჯანყებას წინ უძღოდა კრიზისი სახელმწიფო მმართველობაში. არავითარი კრიზისი სახელმწიფო ხელისუფლებაში არ ყოფილა. უზენაესი საბჭოსა და მთავრობის უმრავლესობა დარჩა ზვიად გამსახურდიას ერთგული, არ მოუხსნიათ უფლებამოსილებანი და გაჰყვნენ პრეზიდენტს დევნილობაში.

სახელმწიფო ხელისუფლების იარაღით დამხობა აღიარეს ე.შევარდნაძემ, თ. სიგუამ, ჯ. იოსელიანმა, თ. კიტოვანმა.

სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა რომ იარაღით მოხდა, დადასტურებული და დაგმობილია საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ: 1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის გროზნოს პირველი სესიის დადგენილებით; 2. საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით; 3. საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით.

სტატიის დასასრულ ვ. რცხილაძე გვთავაზობს წინადადებას, პარლამენტში შეიქმნას 1991-92 წლების მოვლენების შემსწავლელი კომისია თენგიზ სიგუას მონაწილეობით, მაშინ, როდესაც თ. სიგუა, როგორც გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი, საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის მარტის ბოლოს, ზვიად გამსახურდიას საქართველოში ჩამოსვენებისას, ცნობილმა ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ სატელევიზიო გამოკითხვა ჩაატარა: „დღეს რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრიდნენ: ზვიად გამსახურდია, ე. შევარდნაძე და მ. სააკაშვილი, ვის აირჩევდით“? ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მხარი დაუჭირა გამოკითხვაში მონაწილეთა 75%-მა.

2007 წლის 1 აპრილს კი საქართველოს მილიონამდე მოქალაქემ თავისი რჩეული პრეზიდენტი მთაწმინდაზე მიაცილა.

ამით ყველაფერია ნათქვამი...

**ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანა გრიგოლიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანა გრიგოლია (პ/ნ 28001085330), ქ. მარნეული, შ. რუსთაველის ქ. №7, სადარბ. 3, სართ. 1, ბინა №48.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. მარნეული, შ. რუსთაველის ქ. №7, სადარბ. 3, სართ. 1, ბინა №48 (საკადასტრო კოდი: 83.02.17.461.01.048https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 103657.60 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 11 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 22 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP58301019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 583010
6. **მოვალე:** გიორგი კიპაროიძე (პ/ნ 28001035805), მარნეული, შ. რუსთაველის №18, ბინა №18.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP58301019; ლოტის ნომერი: 583010).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 22 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თეიმურაზ ფხაკაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თეიმურაზ ფხაკაძე (პ/ნ 60001015969), ქუთაისი, ფიროსმანის ქ. №25.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქუთაისი, ფიროსმანის ქ. №25 (საკადასტრო კოდი: 03.04.30.447https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19275 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 11 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 22 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP58300919;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 583009
6. **მოვალე:** თეიმურაზ ფხაკაძე (პ/ნ 60001015969), ქუთაისი, ფიროსმანის ქ. №25.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP58300919; ლოტის ნომერი: 583009).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 22 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# ლანჩხუთში ცხენის ქურდი დააკავეს



**შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი პირი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.** ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია 1955 წელს დაბადებული ა.ო. დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თანამზრახველთან ერთად მიმდინარე წლის 2 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საძოვრიდან ადგილობრივი მცხოვრებლების კუთვნილი 2 ცხენი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული სოფელ შუხუთის მიმდებარედ არსებულ ფერმაში დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ო.-მ ერთი მოპარული ცხენი დაკავებამდე დაკლა და ხორცი სარეალიზაციოდ გაამზადა. მეორე ცხენი კი პოლიციამ პატრონს დაუბრუნა",** – განაცხადეს უწყებაში.

# თბილისში მომხდარი ქურდობის 3 და ქურდობის მცდელობის 1 ფაქტი გახსნილია

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში სხვადასხვა დროს ჩადენილი ქურდობის და ქურდობის მცდელობის ბრალდებით არასრულწლოვანი – 2002 წელს დაბადებული ს.ხ. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ს.ხ.-მ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „სან-მარის" გაქურდვა სცადა, თუმცა განზრახვა ვერ განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა არასრულწლოვანი ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს. დაკავებულს, ასევე, ბრალად ედება თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „ფარდის სახლის", ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „სანელებლების კუთხის" და ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე შპს „დისქავერ თრეველის" გაქურდვა. პოლიციამ ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულებს აღიარებს.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ავილ აბდულაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავილ აბდულაევი (პ/ნ 36001009085), საგარეჯო, სოფელი თულარი.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
საგარეჯო, სოფელი თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.51.173https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 55630.68 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 11 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 22 თებერვალი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP58300819;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 583008
6. **მოვალე:** ავილ აბდულაევი (პ/ნ 36001009085), საგარეჯო, სოფელი თულარი;
მახმად გახრამანოვი (პ/ნ 36001009228), საგარეჯო, სოფელი თულარი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP58300819; ლოტის ნომერი: 583008).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 22 თებერვლის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# მოგებით დავიწყეთ

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა რაგბი ევროპის ჩემპიონატის 2019 წლის გათამაშების საწყისი მატჩი კლუჟში ჩაატარა და უმთავრეს მეტოქედ მიჩნეულ რუმინეთს 18:9 სძლია. „ბორჯღალოსნებმა“ მასპინძლები 2-ჯერ დაალელოვეს, თავად კი მხოლოდ 3 ჯარიმა მიიღეს.**

ის, რომ ტურნირის უმთავრესი ფავორიტები ერთმანეთს სასტარტო ტურშივე გადაეყარნენ, სიახლე იყო, რასაც ობიექტური მიზეზი ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ „მუხის ფოთლები“ ნატურალიზებულ მოთამაშეებთან დაკავშირებული პრობლემების გამო მსოფლიო თასიდან მოხსნეს და რაგბი ევროპის ჩემპიონატში დასარჩენად პლეი-ოფის თამაშიც კი მოუწიათ. რუმინელებმა აღნიშნულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს, წლევანდელ ტურნირში მე-6 გუნდად ჩაჯდნენ და პირველივე შეხვედრაში „ბორჯღალოსნებს“ დაუპირისპირდნენ.

შეხვედრა ქართულ-რუმინულ ურთიერთობათა 300 წლისთავს მიეძღვნა და, ტრადიციულად, ანთიმოზ ივერიელის თასიც გათამაშდა, სპორტული თვალსაზრისით კი განსაკუთრებით საინტერესო იმად იყო, რომ მეტოქეებმა მინდორზე ერთობ გადახალისებული რაზმები გაიყვანეს.

დასამალი არაა, რომ „ბორჯღალოსანთა“ თავკაც მილტონ ჰეიგისთვის უმთავრესი მიზანი ბიჭების მსოფლიო თასისთვის მომზადებაა და ყველა ნაბიჯი ამ ჭრილში განიხილება, გუნდის შესათამაშებლად და ახალი სახეების წარმოსაჩენად კი რაგბი ევროპის ჩემპიონატის მატჩები სწორედაც რომ კარგი შანსია.

შედეგად, გასაკვირი არ ყოფილა, რომ ჰეიგმა უკვე სასტარტო შეხვედრისთვის ერთბაშად სამ დებიუტანტს უხმო. ფრანგული „ორიაკის“ წევრებმა ბექა სალინაძემ და ვანო კარკაძემ, ასევე რუმინული „ბუქარესტის“ მეორეხაზელმა დავით გიგაურმა ეროვნულ გუნდში პირველად ითამაშეს.

გარდა ამისა, კიდევ ექვს მორაგბეს (ზურაბ ძნელაძე, თედო აბჟანდაძე, გურამ გოგიჩაშვილი, ბექა გიგაშვილი, მირიან მოდებაძე, თორნიკე მატარაძე) ნაკრებში 6 ან ნაკლები მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

ცხადია, ძირითად შემადგენლობაში იყვნენ გამოცდილი მორაგბეებიც. პირველ ხაზში ასეთი რუსული „ენისეის“ კვაჭი შალვა მამუკაშვილი (62-ე კეპი მოიხვეჭა) იყო, მეორეში — კაპიტანი გიორგი ნემსაძე („ოსპრეიზი“, უელსი, 86), უკანა ხაზში კი დიდი 10-ის ლიდერ „ბათუმის“ წევრები ლაშა ხმალაძე (70) და



სანდრო თოდუა (76).

შეიძლება ითქვას, რომ კლუჟში გამართულ შეხვედრას ლოგიკური შედეგი ჰქონდა. ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებში გაცილებით უკეთესი ახალგაზრდა თაობა მოდის და მეტოქეთა ასაკობრივი ნაკრებების შედეგების გათვალისწინებით, ეს გასაკვირი ნამდვილად არ ყოფილა. კარპატელებს ლელოს დადების რეალური შანსი არ ჰქონიათ და ფაქტიურად ერთი კომპონენტიც არ ყოფილა, რაშიც ჩვენებურებს აჯობეს, „ბორჯღალოსნებს“ კი, ბევრი წუნის მიუხედავად, ნათლად ეტყობოდათ, რომ თამაშის გაუმჯობესების პოტენციალი გააჩნიათ.

საქართველოს ნაკრები პირველ ტაიმში უფრო სუსტად გამოიყურებოდა და, მართალია, შესვენებამდე ბოლო 10 წუთი შეტევაში გაატარა, საწყის 40 წუთში მხოლოდ ერთ ჯარიმას გამორჩა. 3 ქულა თედო აბჟანდაძემ მიითვალა და მასვე 1 დარტყმა გაუცუდდა, ფლორინ ვლაიკუმ კი 2-ჯერ იმარჯვა და „სტეუარი“ 6:3 დაწინაურდა.

სასიხარულოა, რომ შესვენების შემდეგ მინდორზე სხვა „ბორჯღალოსნები“ ვიხილეთ. მილთონ ჰეიგის გუნდი გაცილებით მობილიზებული გამოვიდა და უპირატესობის შედეგში ასახვაც დაიწყო, რასაც ჩვენებურთა 2 ლელო მოჰყვა.

თავდაპირველად გიორგი აფციაურის ფლანგური გარღვევის შემდეგ ვიხეირეთ. ლელო გარდაუვალი ჩანდა, როდესაც ბოლო პასი აწ უკვე ცენტურიონმა კალაფეტეანუმ ჩაჭრა: შედეგად, შეხვედრის ირლანდიელმა არბიტრმა შონ გალაჰერმა მას ყვითელი ბარათი უჩვენა და ჩვენებს საჯარიმო ლელოც ჩაუთვალა — 6:10.

თამაში „ბორჯღალოსანთა“ უპირატესობით გაგრძელდა და მატჩის საუკეთესო ეპიზოდიც ვიხილეთ: მოედნის შუაწელიდან დაწყებული იერიში მარჯვენა ფლანგისკენ განვითარდა, გიორგი ცუცქირიძემ ბექა გორგაძეს მშვენიერი პასით გაუგრძელა, ფრანგული „ბორდოს“ მესამეხაზელმა კი მინი-შედევრი შემოგვთავაზა: გზიდან 2 რუმინელი ჩამოიცილა და ბოლო წამს ბურთის ლელოში გადადება მოახერხა. მატჩის დასრულებამდე ათიოდ წუთი რჩებოდა და რუმინელებს თამაშის გადარჩენის უმცირესი შანსიღა ჰქონდათ. ტინკუს ბიჭებს ვლაიკუს მორიგი ჯარიმის შემდეგ თითქოს მცირედი იმედი გაუჩნდათ, თუმცა, საპასუხოდ აბჟანდაძემ გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

***საქართველოს ნაკრები რაგბი ევროპის ჩემპიონატზე მე-2 მატჩს 17 თებერვალს ჩაატარებს. ესპანეთთან შერკინება მომავალ კვირას ავჭალის სტადიონზეა დაგეგმილი და 18 საათზე დაიწყება. ცნობისთვის: „ლომებმა“ ტურნირის სასტარტო შეხვედრა მადრიდში რუსეთთან 16:14 მოიგეს.***

**კობა კობახიძე**

◉ ძიუდო

# პარიზში – მესამედ!



**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების კაპიტანი ვარლამ ლიპარტელიანი (100 კგ.) პარიზის გრანდ სლემის გამარჯვებული მესამედ გახდა.**

ჩვენმა ფალავანმა პრესტიჟული ტურნირის ფინალში იაპონელი აარონ ვულფი ვაზარით დაამარცხა და მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტ შერკინებაში მარცხისთვის რევანში აიღო. შეგახსენებთ, რომ მანამდე ლიპარტელიანმა 4 გამარჯვება იზეიმა. ვარლამმა ტაილანდელი ვეი პუიანგი ვაზარით დაჯაბნა, ბულგარელი დანიელ დიჩევი იპონზე დასცა, ფრანგ ალექსანდრე იდირს ვაზარით აჯობა, სამხრეთკორეელ გუჰამ ჩოსთან კი ვაზარით აგებდა, თუმცა, ფინიშამდე წუთით ადრე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იპონზე დააგდო.

ამგვარად, საქართველოს ნაკრებმა პარიზული გრანდ სლემი 4 მედლით დაასრულა: ვერცხლი ვაჟა მარგველაშვილმა (66 კგ.) აიღო, ბრინჯაოები კი თემურ ნოზაძემ (60 კგ.) და ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ.) დაისაკუთრეს.

**ბეჟან დოლიძე**

◉ ჩოგბურთი

# ფიასკო ინგლისში

**საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებმა ფედერაციის თასის I ჯგუფის ევრო-აფრიკულ ზონაში მიჯრით მე-4 მარცხი განიცადა და გაისად თამაში უკვე II ჯგუფში მოუწევს.**



შეგახსენებთ, რომ ქართველმა ჩოგბურთელებმა ინგლისის ქალაქ ბათში მიმდინარე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე სერბეთთან (1:2), ხორვატეთთან (1:2) და თურქეთთან (0:3) წააგეს, გუშინ კი ლიგაში დასარჩენი ბრძოლა სლოვენიასთან დათმეს.

საწყის შეხვედრაში მარიამ ბოლქვაძე (მსოფლიოს 312-ე ჩოგანი) კაია იუვანთან (169-ე) 1:6, 0:3 აგებდა, როდესაც თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა, შემდეგ კი ეკატერინე გორგოძე (151-ე) დალილა იაკუპოვიჩთან (86-ე) 4:6, 4:6 დამარცხდა.

შედეგად, წყვილთა მატჩმა უკვე აზრი დაკარგა.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ ლეგიონერი

# ნანატრი გამარჯვება

**ბექა ბურჯანაძის „გიპუზკოა ბასკეტმა“ ესპანეთის ლიგა ენდესაში ნანატრი გამარჯვება იზეიმა. ქართველი კალათბურთელის გუნდმა ზედიზედ 7 მარცხის მერე წარმატება „გრან კანარიასთან“ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში მოიპოვა, ჩვენებურმა კი შედეგიანი თამაში ჩაატარა.**

საინტერესოა, რომ დიდ შესვენებაზე „გიპუზკოა ბასკეტი“ 16-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა, თუმცა, ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო, დასკვნით მეოთხედში მეტოქე 28:13 გაანადგურა და საბოლოოდ 90:85 მოიგო.



ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 30 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 5-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ. შედეგად, ბურჯანაძის სარგებლიანობის კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა, მასზე შედეგიანად კი მხოლოდ ბლაგოტა სეკულიჩი (20 ქულა) და გარეტ ნეველსი (18) გაისარჯნენ. აღსანიშნავია, რომ „გიპუზკოა ბასკეტს“ 20 ტურში მხოლოდ მე-4 მოგება მოუგროვდა და აქედან 2 ევროლიგის მონაწილე „გრან კანარიასთან“ აქვს.

ქართველი კალათბურთელის გუნდი ბოლო ადგილზე რჩება, თუმცა, „მურსიას“ მხოლოდ 1 გამარჯვებით ჩამორჩება. „გიპუზკოა ბასკეტი“ მომდევნო მატჩს 3 მარტს შინ „ვალენსიასთან“ ჩაატარებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ფეხბურთი



# რონალდუს რეკორდი

**იტალიის სერია ა-ს 23-ე ტურის მატჩში „იუვენტუსმა“ გასვლაზე „სასუოლო“ 3:0 დაამარცხა. მეორე ბურთი 70-ე წუთზე კრიშტიანუ რონალდუმ გაიტანა და მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე ერთად 20 გოლი დაუგროვდა. კრიშტიანუ რონალდუ არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ზედიზედ 13 სეზონის განმავლობაში მინიმუმ 20 ბურთი გაიტანა.**

რონალდუმ ბოლოს 20 გოლი 2005/06 წლების სეზონში „მანჩესტერში“ ასპარეზობის დროს ვერ გაიტანა. შედარებისთვის, ჯერჯერობით ლიონელ მესი 20 და მეტ გოლს ზედიზედ 11 სეზონია, რაც იტანს.

**გიორგი შოთაძე**

სანთელი

# წავიდა, მაგრამ დარჩა სიკეთედ

## ბენია თხილავასთან გამოსათხოვარი



კიდევ ერთ ჭეშმარიტი მამულიშვილი დააკლდა ქუთაისსა და სრულიად საქართველოს. გარდაიცვალა ქუთაისის ტექნიკურ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტებში საინჟინრო თაობათა აღმზრდელი, მრავალმხრივობით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, რამდენიმე ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი, როგორებიცაა კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო და ღირსების დარბაზი; მრავალი წიგნის, მათ შორის, სტუდენტებისთვის 4 დამხმარე სახელმძღვანელოს, სამი პოეტური და ორი იუმორისტული კრებულის ავტორი,საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, იუმორის ეროვნული აკადემიის დამფუძნებელი,პრეზიდენტი და ამ აკადემიის ყოველთვიური გაზეთის „იპოლიტეს" რედაქტორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე **ბენია თხილავა**.

მისი საქმიანობის არასრულ ჩამონათვალს მეტი სიცხადისთვის იმასაც დავურთავთ, რომ გარდაცვალებამდე მან მოასწრო პირდაპირ ეთერში 800-ზე მეტი ერთსაათიანი გადაცემის ტელეწამყვანობა, იუმორისტული გაზეთის ორმოცდაშვიდი ნომრის გამოშვება, ვანსა და ხონში ქართული იუმორის ოთხი ფესტივალის გამართვა და მრავალი კეთილი საქმე. აღსანიშნავია, რომ ხონის კულტურის ცენტრის წინ სწორედ მისი დიდი ძალისხმევით დაიდგა პოლიკარპე კაკაბაძისა და იპოლიტე ხვიჩიას ბიუსტები, რომლებიც ცნობილი მოქანდაკის გიორგი კიკვაძის ხელთქმნილია. კეთილსინდისიერებისა და უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო ბენია თხილავას დიდ პატივს სცემდნენ როგორც ქუთაისში, ისე სრულიად საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც, სადაც კი ტელემაყურებლებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ მისთვის ან წაეკითხათ მისი პუბლიკაციები. ამის თვალნათლივი დასტური იყო 4 თვის წინათ, 2018 წლის 15 ოქტომბერს ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული მისი 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავლობით მკვეთრად გამორჩეული საიუბილეო საღამო, რომელშიც ქუთაისელებთან ერთად ბევრი სააგანგებოდ ჩამოსული სტუმარი მონაწილეობდა.

უკურნებელი სენით დაავადებულმა ავადმყოფმა გარდაცვალებამდე ორიოდე დღით ადრე ერთი დიდი სიკეთე კიდევ მოასწრო. რამდენიმე ჩვენგანთან ერთად ქუთაისის საარქივო სამსახურის ხელმძღვანელი იხმო და საოცრად მოწესრიგებული ის პირადი არქივი ჩააბარა, რომელიც ვიდეოკასეტებით, ფოტოებითა და უტყუარი დოკუმენტებით ზედმიწევნითი სიზუსტით აღადგენენ მისი თვალით დანახულ ქუთაისსა და ქუთაისელთა ცხოვრებას მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე.

მშვიდობით, ჩვენო მეგობარო, ქუთაისისა და ქუთაისელთა თანამდგომო და პირნათელო მემატიანევ! შენს უსაყვარლეს ქალაქს წარუშლელ კვალად აჩნია შენეული სიკეთე.

**სპარტაკ ქობულია, ომარ გვეტაძე, გურამ გვენცაძე, მურთაზ კანკაძე, მერაბ კეზევაძე, თენგიზ მდივანი, ირმა ქურასბედიანი, თემურ ძიძიგური, ალექსანდრე შენგელია.**

---

მეუღლე გულნაზი, შვილები ბესიკი, თენგიზი, რძლები თეა, მაია, შვილიშვილები, უახლოესი ნათესავები, მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ბენია თხილავა

გამოსვენება 14 II, 15 სთ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №49.

ხსოვნა

# ზურაბ ნაცვლიშვილი



ქართულმა სამეცნიერო-საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი და ახალგაზრდობის აღმზრდელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, პროფესორი **ზურაბ ნაცვლიშვილი**, რომელმაც ათეული წლები თავდადებით იშრომა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კედლებში და ერთგულად ემსახურა მისი სახელოვანი ტრადიციების ღირსეულად გაგრძელების საქვეყნო საქმეს.

დაიბადა 1935 წელს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტზე და მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე დაუკავშირა საქართველოში მსუბუქი მრეწველობის განვითარების საქმეს. შრომითი საქმიანობა განაგრძო კოტონ-წინდების ფაბრიკაში ცვლის ოსტატად, ხოლო შემდგომ, 1957 წლიდან — საქართველოს სარეწაო საბჭოს ცენტრალურ ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში მთავარ ინჟინრად.

1959 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასწავლო სახელოსნოში ოსტატად მუშაობდა. ამავე წლის სექტემბრიდან აქტიურად ჩაერთო მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, სადაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის, აკადემიკოს დავით თავხელიძის ხელმძღვანელობით წარმატებით გააგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა.

ბატონმა ზურაბმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის აღზრდაში. გაიარა გზა ასისტენტობიდან პროფესორის მაღალ თანამდებობამდე.

შემდგომ წლებში მისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა ხაზვისა და საინჟინრო გრაფიკის დეპარტამენტს, სადაც სიღრმისეულად გამოავლინა თავისი ნიჭი და შესაძლებლობები.

სტუდენტობის წლებიდან მრავალი წლის მანძილზე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრის შემოქმედებით მოღვაწეობაში. იყო მრავალი ფესტივალის ლაურეატი, მათ შორის, 1957 წლის ახალგაზრდული მსოფლიო ფესტივალისა. მისი ინიციატივით საქართველოში პირველად იქნა შემოტანილი „სანოტო პაპკა" გიტარისათვის ციფრულ აღრიცხვაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ზურაბის უკვდავი სული, ვალმოხდილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს საინჟინრო აკადემია**

---

საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა გამოჩენილი მეცნიერისა და ცნობილი ხელოვანის

## ზურაბ ნაცვლიშვილის

გარდაცვალებით. ბატონი ზურაბის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების გულში.

**ა. ფრანგიშვილი, ჯ. ბაგრატიონი, ი. ბაციკაძე, დ. ბიბილეიშვილი, ზ. გასიტაშვილი, ო. გელაშვილი, გ. გოლეთიანი, ი. გორგიძე, ა. დავლიანიძე, მ. ზაკუტაშვილი, დ. თავხელიძე, მ. თალაკვაძე, ნ. იაშვილი, ჯ. იოსებიძე, ი. კალმახელიძე, ლ. კლიმიაშვილი, დ. კუჭაიძე, მ. მახარაძე, გ. ნამგალაძე, შ. ნაჭყებია, ვ. ოთარაშვილი, ი. საყვარელიძე, ი. სოხაძე, ჯ. უფლისაშვილი, ო. წეროძე.**

სანთელი



„ჯანმრთელობის ცენტრის" თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან კოლეგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ქირურგ-ენდოსკოპისტის, საქართველოს ენდოსკოპისტთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ენდოსკოპიის სასწავლო ცენტრის „თეომედის" ხელმძღვანელის, ბატონი

## ვოვა შენგელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს.

---

ლია, გურამ, მაია გვეტაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, სათნო და გულისხმიერი ქალბატონი

## ლამარა ჯიბლაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# 81 წლის ე.წ. სახალხო მკურნალი თაღლითობაში დამნაშავედ ცნეს!

**2019 წლის 8 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა ე.წ. სახალხო მკურნალის ლ.ნ.-ს მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით.**

საქმის არსებითად განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებით, სასამართლომ 81 წლის ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის ასაკი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მიზანშეწონილად არ მიიჩნია თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდებულს სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა — 10 000 ლარი.

# ჩინოვნიკს, რომელმაც სამოქალაქო აქტივისტს თავზე ნაგვის ვედრო ჩამოამხო, 5 ათასლარიანი გირაო შეუფარდეს

**გორის რაიონულ სასამართლოში თემურ მანველიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელეს. „ნიუპოსტის" კორესპონდენტის ცნობით, თემურ მანველიშვილს 5 ათასლარიანი გირაო შეუფარდეს.**

პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დაკმაყოფილდა, ხოლო მანველიშვილი თავდებობას ითხოვდა. გორის მერიის ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახურის უფროსმა თემურ მანველიშვილმა 2018 წლის ოქტომბერში სამოქალაქო აქტივისტს გიგა მაქარაშვილს ვედრო ჩამოამხო. პროკურატურის პრესსამსახურის განცხადებით, გიგა მაქარაშვილი დაზარალებულად ჯერ კიდევ 16 იანვარს ცნეს. მანველიშვილმა თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება 8 თებერვალს მიიღო. პროკურატურამ კი ბრალი 9 თებერვალს წაუყენა. სასამართლო სხდომაზე დასასწრებად ჩავიდა დაზარალებული გიგა მაქარაშვილი, რომელიც მანდატურებმა სხდომაზე არ შეუშვეს.

◉ არჩევნებიც მალე მოვა



# ნუ დაანგრევთ სტადიონს!

**ვაჟა ფშაველას გამზირის მესამე კვარტალის მე-15 და მე-16 კორპუსებს შორის უკვე ნახევარი საუკუნეა, თავს იწონებს კოპწია სტადიონი, სადაც თაობები დაიზარდნენ. რომ ვამბობთ, ჯანსაღი ცხოვრების წესიო, სწორედ ის არის დამკვიდრებული აღნიშნულ სპორტულ ობიექტზე და აქტივობებში მთელი უბნის ახალგაზრდობასთან ერთად ძველგაზრდობაცაა ჩაბმული.**

ეპოქის სუსხმა, სამწუხაროდ, საბურთალოზეც დაუბერა და არსებობის საფრთხე ჯანმრთელობის დასახელებულ კერასაც შეუქმნა. **დიახ, თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, სხვაგვარად ძნელია შეაფასო „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანის“ (ხელმძღვანელი ლაშა ნაროუშვილი) მიერ დაწყებული მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა, რამაც გულგრილი არავინ დატოვა და გუშინ საპროტესტო აქციაზე გამოიყვანა. მართალია, მშენებლებმა ჯერ მხოლოდ მოსაზღვრე, გაპარტახებული პურის ქარხანა დაანგრიეს, მაგრამ უეჭველია, რომ მალე სტადიონსაც მიადგებიან და ინვესტორის მადას კიდევ ერთი სარბიელი შეეწირება.**

სწორედ ამ სავალალო პერსპექტივამ აიძულა შეკრებილნი, გადასარჩენად დედაქალაქის მერ კახი კალაძისთვის მიემართათ და ეთხოვათ, ხსენებულ კომპანიას ალტერნატიული ფართი შესთავაზოს, აგრეთვე დაინტერესდეს, რის საფუძველზე გასცეს მშენებლობის ნებართვა შესაბამისმა სამსახურებმა.

**სხვათა შორის, ამავე საკითხზე რეაგირებისა და თანადგომისთვის სტადიონის ხსნის კომიტეტის წევრებმა არაერთხელ მიმართეს მეზობელ მეექვსე კვარტალში მცხოვრებ თბილისის ვიცე-მერს, კეთილმოწყობის სამსახურის თავკაც გიორგი ბაგრატიონს, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი, თავის შეწუხებასა და ვითარების ადგილზე გაცნობაზე ხომ საუბარი ზედმეტია.**

დაბოლოს: არანაკლებ საგანგაშოდ გვესახება ნგრევის დროს თონის შენობის ქვეშ გამავალი გაზის მილის დაზიანების ფაქტი, რაც საბედისწერო საფრთხეს შეიცავს ახლომდებარე კორპუსების მოსახლეობისათვის.

**მოკლედ, ბატონო კახი, ვიმედოვნებთ გაითვალისწინებთ თქვენი დამფასებელი და გულშემატკივარი უბნის მკვიდრთა ვედრებას და, როგორც ამას წინათ ვაკის პარკის შემთხვევაში მოხდა, ამჯერადაც მიიღებთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას.**

გაისად ხომ არჩევნების წელია და შეხსენებაც არ უნდა, რომ ხმებს მოფრთხილება სჭირდება.

**გია პლატონიშვილი**

◉ გამოცემა

# „აირია ზღვა, უღალატა მზემ...“

**მსოფლიო ლიტერატურამ ბევრი მაგალითი იცის იმისა, რომ მწერალს ნაწარმოებში გასაოცარი წინასწარმეტყველური ალღო გამოეჩინოს — ესა თუ ის მოვლენა თითქოს არაამქვეყნიური გამჭრიახობით განსჭვრიტოს.**

ერთი ასეთი, უდავოდ, ჩემი უდროოდ დაღუპული მეგობარი, უკეთილშობილესი, სამეგობროში გამორჩეული კაცი **ჯემალ თოფურიძეა,** რომელმაც თავის ყველაზე ვრცელ ნაწარმოებში „დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია“ შემზარავი, ავბედითი დამთხვევით ავტოსაგზაო შემთხვევაში თავისი ტრაგიკული აღსასრული აღწერა.



დაკვირვებული მკითხველი კარგად იცნობს ჯემალ თოფურიძის, სამწუხაროდ, არცთუ ვრცელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას — მისი მეუღლის, ცნობილი ლიტერატორისა და პუბლიცისტის მანანა დუმბაძის რუდუნებით წლების მანძილზე გამოიცა მისი მოთხრობების რამდენიმე კრებული. ასეა ამჯერადაც: ახლახან ნოდარ დუმბაძის გამომცემლობამ და ლიტერატურულმა სააგენტომ (NDP) ჯემალ თოფურიძის მოთხრობების წიგნი დასტამბა — **„დედამიწას თეთრი და სისხლიანი პერანგი ეცვა“**. ახალი გამოცემის (რომლის რედაქტორი ქეთევან დუმბაძეა, ხოლო მხატვარი ნიაზ დიასამიძე) სათაურად ცნობილი „დიოსკურიის...“ ბოლო სტრიქონია აღებული.

მწერალთა სახლში გამართულ წიგნის წარდგენაზე ქალბატონმა **მანანა დუმბაძემ** აღნიშნა, რომ ახლადგამოცემული წიგნი ჯემალ თოფურიძის დაბადებიდან 70 წლისთავს ეძღვნება და იგი ეცდება, რომ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მკითხველს ახალ-ახალი გამოცემები შესთავაზოს.

ჯემალ თოფურიძის მოთხრობების ბოლო წიგნი წინა კრებულებისგან უპირველესად იმითაა გამორჩეული, რომ მასში მწერლის პოეტური ცდებიცაა ასახული — „უსათაურო ლექსები გაყვითლებული უბის წიგნაკიდან. 1976 წელი“. ჩემდა გულდასაწყვეტად, მოთხრობებისა არ იყოს, ეს ლექსებიც ძალიან ცოტაა — სულ ათი, მაგრამ ისევე, როგორც პროზაში, მათშიც ჯემალ თოფურიძის სიცოცხლის დაძაბული ნერვი ძალუმად ტოკავს.




**„აირია ზღვა,**
**უღალატა მზემ,**
**აირია ზღვა,**
**ტალღებს მიჯრით ფენს,**
**გახსენება წვის,**
**უფრო მაგრა წვავს,**
**ელის, როგორც ჩვენ**
**მოწყურებულ ქალს.**
**აირია ზღვა,**
**სხვას აკოცა მზემ,**
**უღალატა ზღვას,**
**ზღვა ნაპირებს გლეჯს,**
**ცრემლით ტირის ზღვა**
**და სველ ნაპირს კბენს.“**

**ოთარ ტურაბელიძე**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**წარმატებულო ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო,**

**მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!**

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19T-B7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

# სმარტფონები ყველაზე ძლიერი გამოსხივებით

**კომპანია Statista-ს ექსპერტებმა დაასახელეს სმარტფონები, რომლებსაც ყველაზე ძლიერი გამოსხივება აქვთ. ინფორმაციას ორგანიზაცია Twitter-ზე აქვეყნებს.**

ანტირეიტინგის პირველი ადგილი 2017 წელს გამოშვებულმა Xaomi Mi A1-მა დაიკავა, რომლის გამოსხივება კილოგრამზე 1,75 ვატს შეადგენს. მეორე ადგილზეა OnePlus 5T (1,68 ვატით კილოგრამზე), მესამეზე კი — Xiaomi Mi Max 3 (1,58 ვატით კილოგრამზე). ხუთეულში ასევე შევიდა OnePlus 6T და HTC U12 Life-ი

ანტირეიტინგის შედგენისას კომპანია გერმანიის რადიაციისგან დაცვის უწყების მონაცემებს ეყრდნობოდა. გერმანიაში გამოსხივების რეკომენდირებული დონე კილოგრამზე 0,6 ვატია. შესაბამისად, ანტირეიტინგში მოხვედრილი ყველა გაჯეტის გამოსხივების დონემ ამ ნორმას გადააჭარბა.



# ჰერცოგმა ფილიპმა მართვის მოწმობა ნებაყოფლობით დათმო



**რამდენიმე კვირის წინათ, ნორფოლკში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის დედოფლის მეუღლემ, ჰერცოგმა ფილიპმა მართვის მოწმობა ნებაყოფლობით დათმო.**

97 წლის ედინბურგის ჰერცოგმა, რომელიც მანქანას თავად მართავდა, ავარიის გამო ბოდიშიც მოიხადა, თუმცა, ორი დღის შემდეგ მან პოლიციისგან სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო ავტომობილის უსაფრთხოების ღვედის შეკვრის გარეშე მართვისთვის. ედინბურგის ჰერცოგმა მართვის მოწმობა პოლიციას ნებაყოფლობით ჩააბარა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6461; ევრო - 2.9996;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4296
100 რუბლი - 4.0075; თურქული ლირა - 0.5039;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5605;
1000 სომხური დრამი - 5.4057.

**ამინდი 12 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე | +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე | +9 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +12 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე | +9 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge